



საქართველოს
აкадеმიის

ISSN 0132-1307

საბჭოთა სელოვნება

1981

11



საქართველო
წიგნების კავშირი

ქართული გამომცემის
1921 წლიდან

11/1981

საბჭოთა სტელოვება

შინაარსი

საპარტვილოს თეატრალური საზოგადოების IX კრი- ლოგას	2
ჭუმბურ თითქმისა — „ხელოვნება ჩვენთვის, აღმართისათვის, ხალხისათვის“	4
ზურაბ ბახტაძე — ლალო მისერაშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის გასტროლები მოსკოვში	10
ტრაღედია — თანამედროვე ინეზა	11
გიორგი ქვეთარაძე — რა გვიჩვენებს სამიწისქვეშა?	22
სიმფონიური ორკესტრების კირველი რესპუბლიკური ღამთველიერება	23
ოლესი დიმიტრაძე — ალმაგლანის ზნის მიღწევები და ხარვეზები	23
ანტონ წულუკიძე — მიგრობული შეჯიბრების შედეგები	25
ლეილა თაბუკაშვილი — უჩა ჯაფარიძე — 75	27
ლია ქიშერიძე — ლომარ ავღუღიანი	31
ქეთევან კინწურაშვილი — შემოქმედებითი თანამშრომლობა	33
ტატა თვალერდიაძე — „არასამართლიანი კაცი“	47
გივი ფორდანი — საბავთრო მატინეო	51
ლეილა ოჩიაური — გიგაშვილის მაკალი ხელოვნება	60
ვახტანგ ქართველიშვილი — ლაგანაშვილის სამი ნიღაბი	66
თეიმურაზ ბერიძე — ძველი თბილისი	75
მერაბ კალანდიაძე — ისტორია და პიროვნება ფრიდის წილების შემოქმე- დებანი	83
მიხეილ თუმანიშვილი — ბიუსიური თეატრიდან წავიდა	83
ელდერ კუფიანი — ჯეოლიტა აივინის ძველი (იესა ა. გუქაშის შეთქმული წერი- ლით)	98
ბიოგრაფიული	116
პრონება	117

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქოველთვიური ქურნალი

**თეატრი
შუნიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მორეორგრაფია
ტელევიზია**

მთავარი რედაქტორი
ნოზარ გუგუნიანი
სამომავლო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოზარ გუგუნიანი,
ჯუგუა თითქმისა
(პალესტინისგანყოფილი მდივანი)
ვანო კიკნაძე,
ნოზარ მხატვრობის მდივანი,
ზურაბ ნიჭიანი,
ბივი ორგანიზაცია,
ნათელა ურუშაძე,
მეგაზ ჩხიშიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნოზარ ბაქრაძე,
თამარ ბილაძე
ნოზარ ჯანაშიანი



ლიბერაბუტრისა და ხელოვნების მო-
ღვაწეო, კულტურის მუშააკო! შუამე-
ნით ჩვენი ღიადი საშოგლოს ღირსი
ნაწარმოებები!

მალღ გევიროთ საგოთა ხელო-
ვნების იღეუროგის, პარტიულოგისა და
ხალზუროგის ღროშა!

სკა ცენტრალური კომიტეტის მო-
წოღებეიღან ღიოი ოქტოგრის
სტოციალისტური რავოლუციის 414
წლისთავისათვის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილოგას!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალუ-
რი კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს
თეატრალური საზოგადოების IX ყრილობას, ყველა
თეატრალურ მუშაკს, ყველა შემოკმედს, ვისაც ღირ-
სეული წვლილი შეაქვს ქართული საბჭოთა თეატრალ-
ური ხელოვნების აღმავლობის ღიდმნიშვნელოვან სა-
კმეში.

რესპუბლიკის სცენის ოსტატთა ფორუმში იმ ღირს-
შესანიშნავ ღროს მიმღინარეობს, როცა საქართველოს
მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ძალღ-
ნეს არ ეშურებენ, რაოა ხორცი შეასხან პარტიის მიერ
დასახულ ღიად ამოცანებს, თავდაღებით იბრძვიან მეთე-
რთმეტე ხუწლეღის დავალებათა პირნათლად შესრუ-
ლებისათვის. დღეს უკვე თამამად შეიძლება აღინიშნოს

პირველი წარმატებები, რომლებიც რესპუბლიკის მუშათა კლასმა, კომპიურნე გუნზობამ, ინტელეგენციამ მოიპოვეს სკვ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადამწყვეტილებების განხორციელების საქმეში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს იმ მკაფიო შთაბეჭდილების ნიშნით, რომელიც ყველა ჩვენგანზე მოახდინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, ამ სიტყვაში მოცემულმა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალმა შეფასებამ.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას 100 წელი შეუსრულდა. ქართული თეატრი იმთავითვე ხალხის სამსახურის თვლიდა უპირველეს მოვალეობად. ერის წყლული აჩნდა წყლულად, ქადაგებდა ინტერნაციონალისტურ და დემოკრატიულ იდეებს. განუზომელი ამავი დასდევ თეატრის ილია ჰეკავაძემ და აკაი წერეთელმა, რომლებიც ხელოვნების ამ დარგს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ანიჭებდნენ. ქართულ სცენაზე მოღვაწეობდა ბევრი გამოჩენილი ხელოვანი, რომელთა სახელს დღესაც მაღლიერებით იხსენებს ჩვენი ხალხი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული თეატრი კეშმარტად ხელმეორედ დაიბადა. რევოლუციური სულისკეეებით განმსკეეულმა, ცხოვრებისეული პეროიკით შთაგონებულმა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ამბეტელის სპექტაკლებმა სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

თანამედროვე ქართული თეატრი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძობია იმ სახელოვანი ტრადიციებისა, რომლებიც ქართული სცენის გამოჩენილმა ოსტატებმა შექმნეს. დღეს ქართული თეატრი ფართოდ გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. მისი შემოქმედებითი მიღწევები რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარი პოზიტიური ძვრების უშუალო გამოძახილია. ბოლო ხანებში სულ უფრო მტკიცდება შემოქმედებითი ურთიერთობა სამარწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მშრომელებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან ღრმადება და ფართოდება სამეფო მუშაობა.

პარტიულობა და ხალხურობა იყო, არის და მუდამ იქნება საბჭოთა თეატრის საფუძველთა საფუძველი, მისი არსი, მისი განვითარების პირველი და გადამწყვეტი პირობა. პარტიულობა და ხალხურობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ დღეს, განვითარებულ სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც ესოდენ გამაფრდა იდეოლოგიური ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივების წინაშე ახალი ამოცანები დგას. საჭიროა უფრო მსშტაბურად, უფრო მკაფიოდ აისახოს საბჭოთა ადამიანების შრომითი მიღწევები. მეტი ყურადღება მიექცეს თანამედროვე დამდებითი გმირის სახის შექმნას. გმირისას, რომელიც სოციალურად აქტიური პიროვნებაა და საქმით იბრძვის სიკეთის დასამკვიდრებლად და ბოროტების დასაორგუნებად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობა, რის შესახებაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამოცანა ის არის, რომ რესპუბლიკის ყველა თეატრი ავიყვანოთ მოწინავე თეატრალური კოლექტივების დონეზე.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრის მუშაობა თავიანთი შემოქმედებით თანმიმდევრულად და განუხრებლად უნდა შეასახნ ხორცი სოციალისტური პეშანიზმის იდეებს, გამოხატონ ჩვენი ცხოვრების ინტერნაციონალური სულისკვეთება, იბრძოლონ თითოეული ხელოვანი იდეური და პროფესიული ოსტატობის ზრდისთვის, აქტიურად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველწაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ესთეტიკურ აღზრდას, განამტკიცონ ურთიერთგამამდიდრებელი კავშირი მომე რესპუბლიკების თეატრალურ კოლექტივებთან და თეატრალურ საზოგადოებრიობასთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოქვეყნს ღრმა რწმენას, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობის დღეეგატები, რესპუბლიკის ყველა თეატრალური მუშაკი მთელ თავიანთ ნიჭს, ძალასა და ენერჯიას მოასმარენ პარტიისა და ხალხის სამსახურს, პირანთლად მოიხდიან თავიანთ წმიდათამიდა ვალს ღროის წინაშე, ღირსეულ წვლილს შემატებენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

სულ ბლბზბნ ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წელი.

ეს იყო კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მწვერლის შემოქმედებამ დროის გამოცდას გაუძლო.

„ჩანჩუხასა“ და „კურკას ქორწილის“, „მარალი აბულაპისა“ და „ლამბალოსა და ყაჰასა“, „ჯაყოს ხიზნებისა“ და „დამპატიყეს“, „არსენა მარაბდელისა“ და „მინის ყვილის“, „გვი შადურისა“ და „თეთრი საყელოს“ ავტორმა სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ ბელეტრისტთა შორის.

ჩვენს დროში იშვიათია სხვა ასეთი ტრაგიკული ხვედრის შემოქმედი. თავიდანვე სასტიკი და უღმობელი იყო ცხოვრება მის მიმართ. მაგრამ მან ღირსეულად განვლო მწერლისა და მოქალაქის გზა.

დღეს ძნელი წარმოსადგენია, რომ მომავალში ამ უბადლოდ მოქართულე მწერალმა (ამ მხრივ, თვითონ ყველაზე მაღლა „არსენა მარაბდელს“ აყენებდა) თოთხმეტი წლის ასაკში მშობლიური ენა საყველპუროდღა იცოდა და, გასაგები მიზეზების გამო, პრაქტიკულად მხოლოდ რუსულად და თათრულად მეტყველებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სწორედ იგი გახდა თანამედროვე სალიტერატურო ენის ერთი ბურჯი. ამიტომ აცხადებდა იგი მოგვიანებით (1933 წ.) სიამაყის გრძნობით:

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამუფხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“.

და იქვე: „თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმინევნით იცის ქართული, ის ქართულის უცოდინარს ძლიერ ნიჭიერ მწერალსაც აჯობებს“.

ამიტომ წერდა იგი აღშფოთებით ადრე (1924 წ.), როცა ქართულ ენაზე ზრუნვის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო დაყენებული სათანადო სიმაღლეზე:

„ღიარეთ რომელიმე დანეტებულება და დაეღაპარაკეთ თანამშრომლებს ქართულად. იშვიათად მიიღებთ პასუხს ქართულადვე. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპუკი, ფარგონი, უშონდ ნარევი და დამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული ან სულ დამუნჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას. უცებ რომ ჩვენსა წინაპრებმა წამოიჩინონ და ყური უგდონ დღეიანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩასცივდებიან საფლავში“.

ხმალომღებულები იცავს მ. ჯავახიშვილი ქართული ენის სიმწინდეს პოლემიკური თუ თეორიული ხასიათის წერილებში „ქართული ენა“, „ისევ ქართული ენის შესახებ“, „ახალი სალიტერატურო ქართული სათვის“ „ქართულის დამახინჯებანი“, „როგორ

„ხელოვნება ჩვენთვის, აღაჟიანისათვის ხალხისათვის“

ემუშაო“ და ამ სტატიების ძირითადი მოსაზრებანი დღესაც მრავალმხრივ საყურადღებოა.

მ. ჯავახიშვილი, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, პროზაიკოსია, ბელეტრისტი. მისი, როგორც მხატვრის, დახასიათება აქ არ შეუდგებოთ, მით უმეტეს, როცა სალიტერატურო ორგანოებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მისი ადგილი და მნიშვნელობა.

მხოლოდ მისსავე სიტყვებს გავისვენებთ: ჩემთვის იმთავითვე „ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა“. არც მიხეილ ჯავახიშვილი ყოფილა არასოდეს „მხოლოდ მხატვარი“, მხოლოდ „პარნასელი“, თუმცა უშთავნებოდ არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია. გავისხენოთ, რომ ახალგაზრდობაში, რევოლუციამდე მ. ჯავახიშვილი ინტენსიურად, პუბლიცისტური მგზნებარებით წერდა „არამწერლურ“ საკითხებზეც — გავისხენოთ თუნდაც მი-

მინაილ

ჯავახიშვილი—100



ჯუმბერ თითმერია

სი სტატიების, ქრონიკების, მიმოხილვების სათაურები: „ორიოდე დღე ალავერდის მადანში“, „ტიფლისის მიხეილის საავადმყოფო“, „რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ“, „გერმანიის მუშათა პარტია“, „გლეხთა მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში“, „მილიტარიზმი“, „რუსეთის კონსტიტუცია“, „სახელმწიფო სათათბირო“, „მთავრობა“, „რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღევანდლამდის“ და მრავალი სხვა.

ეს ხომ ილიას სკოლაა, მისებური დამოკიდებულება მოვლენებთან და საგნებთან!

ლამის მისტიურად განგვანაყოს ასეთმა ეპიზოდებმა მ. ჯავახიშვილის ცხოვრებიდან:

ილია რომ მოჰკლეს, მ. ჯავახიშვილი დაუყოვნებლივ საგურამოში ასულა. „არასოდეს დამავინყდება ის ღამე, სხვებმა დამასწრეს და ლოგინები დაირიგეს, დარჩა მხოლოდ ერთი ბალიში, ილიას სისხლით მოხვრილი ბალიში, რომელიც მოკვლის დროს ზურ-

გის უკან ედო. ბევრი ყოყმანის შემდეგ ძლივს გაგებდე: ის ბალიში კაკლის ქვეშ წყაროსთან დაგდე, სადაც მრავალი დაუფინყარი საათი მქონდა გატარებული, ზედ ცხვირსახოცი დავაფარე და ფსიქიურად დატანჯულმა და ფიზიკურადაც დაქანცულმა, მამლის ყვილისას ძლივს ჩავიძინე“.

ილიას სისხლით მოხვრილ ბალიშზე დეპულა მიხეილ ჯავახიშვილის თავი!

მერე, დიდი ხნის შემდეგ, ილიას მკერდიდან ამოდებული ტყვიები მ. ჯავახიშვილს ლიტერატურული მუშეუმისთვის გულისფანცქალით გადაუტია, თან გიორგი ლეონიძისთვის მიუწერია: „იმ ორი ტყვიის უკან დაბრუნების უფლებას ვიტოვებო!“

ამ ბარათთან დაკავშირებით ნოდარ დუმბაძე წერს: „აი, თურმე რატომ მეგულდება მისი აჩრდილი ნინამურის გზაზე, იგი ილიას პირდაპირი მემკვიდრე იყო, ამოღებული ხმალივით შიშველი და სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკად მიტანილი“.



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „ქალის ტვირთი“



სცენა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან „კვაკუ კვაკანტრიაძე“



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „ქალის ტვირთი“

რასაკვირველია, მ. ჯავახიშვილს, თავისთავად, არაფერში ინტერესებდა ენერა, ვთქვათ, ქალთა საარჩევბო უფლებებზე ავსტრალიაში ან აგრარულ რეფორმებზე იოლახადიაში, მაგრამ ძველი მისახვედრად იოაა, რომ ეს და მწერლის თვალსაზიერში მოქცეული სხვა პირობებები ამა თუ იმ კუთხით ეხებოდა მისი მშობელი ქვეყნის წინაშე მდგარ ე. წ. „დღიურ“ თუ უფრო შორს გამიზნულ მიზნებსა და ამოცანებს. საქართველოში რევოლუციის ხახძაოი მძვისავაობდა, როცა მწერალი სტატიაში „მთავრობა“ აღძფოთებით წერდა: „განა იეფემ არ იცის, რომ მთავრობა ხალხს უზომოდ სტახიჯავს, იკლებს, ანაოკებს და აობრებს? განა მეფემ არ იცის, რომ წრეულს მიეღი საქართველო გადასწევს და მიწასთახა გაასწორეს? როგორ არ იცის ძალიან კარგად იცის, მშვენივრად იცის!“

ან, ენახოთ, როგორაა აღწერილი სტატიაში „რუსეთის ცხოვრებიდან“ კურსკში სამი საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა დარბევა პოლიციის მიერ: „...მოსწავლეებს გარს შემოეზვიენეს პოლიციისტერი, ბოქაულები, მათი თანაშემწენი, აუარებელი პოლიციელი და ურიცხვი „მონაფეხი სასოფლო დარაჯთა სკოლისა“ (ასეთი „სკოლა“ გახლავთ კურსკში) ...სცემეს მარჯვნივ და სცემეს მარცხნივ, სცემეს ყველას. სცემეს, სადაც მოხვდებოდა, სცემეს თავში, სცემეს ცხვირ-პირში, სცემეს გულ-მკერდში... თუ პოლიციელის მუშტით მოსხაველ ნაიქცეოდა, წაქცეულს მეორე პოლიციელი ეშველებოდა, ჯერ ფეხზე აყენებდა და მერე პირველსავით ცემას დაუნყებდა... ბავშვებს ნიხლებით სთელავდნენ, თავს ტროტუარზე და ქუჩის ქვაფენილზე უჩქქვამდნენ. ზოგს გული წაუვიდა, ზოგს გონება დაეკარგა, მაგრამ მაინც სცემდნენ, ტროტუარზე თავს უხეთქავდნენ, თმებით ათრევდნენ. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან მოწაფეებს პოლიციელნი რკალივით ერტყნენ, მაგრამ, თუ ვინმე მოახერხებდა და გაიქცეოდა, უარესი დღე დაადგებოდა: ყახახები და დარაჯები ეწეოდნენ; ცხენებს ფეხით ათელინებდნენ და მითრახებით სცემდნენ. ზოგამ ბიბლიოთეკაში სცადა თავის შეფარება, მაგრამ კარებში ბოქაული დაუხვდათ. ბოქაული მოსწავლეებს ხელსა ჰკრავდა და „წესრიგის დამცველთა“ წრეში ავადებდა, ზოგს თავი გაუჩეხეს, ზოგი ცხენს გააჭყლეთინეს და ზოგსაც ხელ-ფეხი დაუმტვრიეს. უმეტესობას კი თავ-პირი დაუსისხლიანეს... რამდენიმე მოწაფე ცემით მოკლეს...“

ასე ენერა შეუძლია მხოლოდ იმ მწერალს, რომელსაც ადამიანი უსახლვროდ უყვარს და რომელსაც ადამიანის ხელყოფა, ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, უდიდეს ბოროტებად მიაჩნია.

საერთოდ, მ. ჯავახიშვილი სულაც არ არის „ტკბილი“, „მამებელი“ მწერალი. ის ვარდისფერი სათვალთ არასოდეს უყურებს ცხოვრებას, შეიძლება ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილი ერთ-ერთი ყველაზე

„სასტიკი“, უღმობელი ქართველი მწერალია. შემთხვევით როდი იხსენებს იგი ერთ-ერთი მისი უსაკუარლესი მწერლის, მოპასანის სიტყვებს: „ცხოვრება არც ისეთი კარგია და არც ისეთი ცუდი, როგორც გვეონია ხოლმე“.

სულით არისტოკრატ შემოქმედს სძულს ისინი, ვინც ზიზღით დასცქერის ზემოდან ხალხს, დემოსს, „მონებს“:

„მე ვერ შევიძლებ მონას მხოლოდ იმითვის, რომ ის მონაა, და თუ შევიძლებ, მაშინ მისი მონობისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაც უნდა შევიძლებო“ (ხაზგასნა მ. ჯავახიშვილისა).

მ. ჯავახიშვილისთვის ისტორია, უწინარეს ყოვლისა, გაცვეთილია და მას სძულს, ვისაც ისტორია „ყიყვებისა და ეშმაკების“ საუფლოდა ჰგონია, იგი ხსნის მიზეზებს, თუ საიდან შემოვიდნენ ეს ყიყვები და ეშმაკები „ჩვენს ისტორიაში და არა ჩვენს ბუნებაში“. ამავე დროს, ის ისტორიას წარმოიდგენს ბოროტებისა და სიკეთის, ამაღლებულისა და მდაბალის, ლეთაბრივისა და სატანურის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მარადიულ, უწყვეტ პროცესად.

დიდი, საფუძვლიანი საუბრის თემაა — მ. ჯავახიშვილი და ხელოვნება.

იგი ბევრს წერდა ხელოვნებაზე, წერდა მთელი სიცოცხლე.

რასაკვირველია, ხელოვნებაზე იგი წერდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც მწერალი, მხატვრული სიტყვის ოცხლად, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობდა ხელოვნების სფეროებში მხოლოდ ინფორმირებული კაცისგან „გარედან“ წერას. მის სტატიებში ანალიტიკური აზროვნება და ემოციური მგზნებარება ყოველთვის ორგანულად ექსოვება ერთმანეთს.

„შემოქმედება იდუმალი შეზავებაა გონებისა და გუმანის“, — მ. ჯავახიშვილისთვის ესაა ამოსავალი წერტილი ხელოვნებაზე მსჯელობის დროს და ამ „იდუმალ შეზავებას“ მიიჩნევს ხელოვნების ქმნილების წარმატების საწინდრად ყველგან — თეატრშიც, არქიტექტურაშიც, ფერწერაშიც, ქანდაკებაშიც, მუსიკაშიც.

ფორმისა და შინაარსის ორგანულ კავშირს მიიჩნევს იგი ამ „იდუმალი შეზავების“ მიღწევისთვის უცილობელ წინაპირობად:

„ჩვენ ხელოვნებად ვერ ჩავთვლით მარტოოდენ შინაარსს, თუნდაც მეტად ჯანსაღიც რომ იყოს იგი. დღეს არც დრომოქმულ ფორმაზე შეიძლება დაკმაყოფილება, ვერც ახალი ფორმა დაგვაკმაყოფილებს, თუ მასში შესაფერი შინაარსი — ფაბულა, სიუჟეტი არ არის ჩაქსოვილი. მართალია, ფორმისა და შინაარსის განკვეთა ზედმიწევნითი სისწორით შეუძლებელია, მაგრამ ორივენი მაინც ცალ-ცალკე არსებობენ. მხოლოდ ფორმა ან მარტო შინაარსი წამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს ვერ შექმნიან. ქეშმარიტი



კადრი ფილმიდან „ჭილა“



კადრი ფილმიდან „ნუსა“



კადრი ფილმიდან „მისა“



სცენა მუსკოვდიის თეატრის სპექტაკლიდან „მუსეა“



სცენა სატელევიზიო სპექტაკლიდან „თეთრი კურდღელი“

კადრი ვიდეოფილმიდან „აყოს ხიზნები“



ხელოვნება მოითხოვს ორივეს შეზავებას და შედეგებს. თუ პირველს მეორე აკლია, უსისხლო და უხერხემლო გამოვა, თუ მეორეს პირველიც არ ახლავს, შეუმოსელი ჩონჩხი დარჩება...“

დამეთანხმებით, ამ აზრის ასე ნათლად, ასე ზუსტად ფორმულირება არცთუ ადვილი იყო 1926 წელს, როცა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხი ძალზე ცოტა ვინმესთვის თუ იყო სათანადოდ გარკვეული და სკოლების, მიმართულებებისა და დაჯგუფებების საოცარი სიჭრელის ვითარებაში მათი დეკლარაცია — მანიფესტები ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდნენ. მ. ჯავახიშვილი შეუპოვრად ებრძოდა ლიტერატურისა და ხელოვნების იმ ადებტებს, რომლებიც „ნემსის ყუნწით ვინრო მიკერძობებს“ იჩენდნენ და მათ მოღვაწეობას „რწყილების მდევნელთა ყიფის“ ეძახდა. ხელოვნების, ლიტერატურის თავისუფლება მისთვის უკვე თავისთავად გულისხმობდა ერის, სამშობლოს სამსახურს („ჩვენთვის ლიტერატურა არც თვითგართობაა, არც სხვისი ვასართობი, იგი არც პარნასია განდევნილებისათვის, არც გახსნილი სანავარდოა უსაქმურებისათვის, იგი თავდაპირველად სოციალური საქმიანობაა...“ 1926 წ.).

მწერლისთვის უცხო იყო სექტანტური განკერძოებულობა შემოქმედისა და იგი არ სცნობდა დოგმებსა და სწორზაზოვან მხატვრულ აზროვნებას:

„ფორმალისმი და უხეში ნატურალისმი ერთი მედალის ორი მხარეა. მათი დასაბამი სხვადასხვანაირია, მხოლოდ საბოლოოდ ორივე მოვლენა მაინც ერთად იყრის თავს და თითქმის თანაბრად მვენებელია“. და სხვაგან: „სადაც გადაჭარბება არ არის, იქ ხელოვნებაც არ არის, მხოლოდ ფოტოგრაფი და უხეში ნატურალისტი არ აჭარბებს. მე კი არც ნატურალისტი ვარ და არც ფოტოგრაფი“.

ერთ-ერთი პირველი წერილი, რომელიც მ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა, იყო „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ (1903 წ.). ამ წერილში იგი სატირული საღებავებით წარმოგვიდგენს იმდროინდელი თეატრის მდგომარეობას: დღევანდელმა თეატრმა „რამდენჯერმე ტფილისელი სომეხი ვაჭარი, ავღანური კინტო, მაჭანკალი და კიდევ ამის მსგავსი რალაცა მაჩვენა და... მეტი არაფერიო“. სცენაზე გაუთავებელი „საშინელი ყვირილი და თოფების სროლა“ აუტანელიაო. ჩვენი ისტორიული პიესები, „ისტორიას ცრუდ და ყალბად ხსნიან“, სცენა „ფუყე“ მეფეებით და „ბამბის ტომრებით“ — მეფის ამაღლის წვერებით, „შიგნით მაშინით გაკეთებული“ მიკედარმთავრებითა და ჯარისკაცებით აივსო, ხალხი კი სადაღაც ქვევით, ორმოშია ჩამწყვდეული, ყველაზე საინტერესო კი ხალხია, „ამოიყვანეთ და გვაჩვენეთო“.

ასეთი პოლემიკური სულისკვეთებით, ასეთი შემტევი პათოსითაა დაწერილი ხელოვნებაზე მისი ბევრი სხვა წერილიც („სურათების გამოფენა“, „თეატ-

რი და ხელოვნება“, „ქართული წარმოდგენა“, „ქართული ეროვნული მუზეუმი“, „მასალები ლექციისათვის“ და სხვა), მაგრამ ეს იმგვარი პოლემიკური სულისკვეთება და შემტვევი პათოსია, რომელიც მთლიანად გამოირჩევა ეროვნულ ნიჰილიზმს, პირიქით, იგი ამკვიდრებს ეროვნულ თვითშეგნებას, თვითრწმენას, ეროვნული ღირსების პატივისცემას. სწორედ ეროვნული ნიჰილიზმის სენით შეპყრობილთა შესასმენად ამბობს მწერალი:

„ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. იგივე ითქმის სოციალურ ფსიხიკაზედაც. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მიწა და არც მისი ჩამომავლობა შექმნის რასმეს თვალსაჩინოს, თუ გამოაცალეთ თავისივე თავის რწმენა და მოუშალოთ იმედი — ასეთი ხალხი წასულია, მიწა დღეი დათვლილია: ის მალე მოიშლება, მოიღონება და შეებმება აღმოსავლურ უღელს: გარინდება, ნირვანა, პასიურობა, ბედის მორჩილება — აი, მისი მომავალი“.

აი, როგორც ეროვნული სიამაყით წერს მ. ჯავახიშვილი ესეი — რეკვიემში „ვანი სარაჯიშვილი“, ამ მცირე შედეგში:

„ბევრს მოგვისმენია ჩვენსა, რუსეთსა და ევროპაშიც უდიდესი ხელოვანი, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ვანოსავით ვინმე დასძლიოს და ამოსწუროს ჩვენი სევდიანი ღამური ურმული და შვიდსართულიანი გიჟურ-გენიალური კახური... დავობდით და დავლადით და ნუგეშად დაგვჩრა ღრმა იმედი, რომ ჩვენი მადლიანი და უხვი მშრომელი ხალხი თავის იდუმალსა და დაუმრეტელ ზღვაში კიდევ ვკაიოვნის ახალ მნათობს, რომელიც ვანობას გაგვიწევს და ჩაბნელებულ სულიერ გზას კვლავ გაგვინათებს. უღვევილი და უზღურბლოა მისი გული“.

მწერლის ყურადღების გარეთ არ დარჩენილა მისი დროის ხელოვნებაში მომხდარი თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ის მთელი არსებით იყო ჩართული ჩვენი ხალხის სულიერ-შემოქმედებითი ცხოვრების ყველა სფეროში (სამწუხაროდ, ბევრი მწერალი ვერ დაიკვივნის დღეს ამით. რამდენი პოეტი და პროზაიკოსი ვიცით, რომელთა შეხედულება დღევანდელ ქართულ ხელოვნებაზე — თეატრზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, ფორწერაზე, არტიტიკტურაზე ჩვენთვის „ბნელითაა მთელი“ — სდუმან, თითქოს ყოველივე ეს მათ არც ეხებოდეთ!).

„ხელოვნება ჩვენთვის, ადამიანისათვის, ხალხისათვის“, — აი, ერთ-ერთი დევიზი, წამოყენებული მ. ჯავახიშვილის მიერ „არიფონის“ სალიტერატურო განცხადებაში.

და არც ხალხი და ხელოვნება დარჩენილან ვალში მიხილ ჯავახიშვილის წინაშე, — მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო კინო და ტელევიზიებს, მუსიკალურ ნაწარმოებებს, სპექტაკლებს. საიუბილეოდ მწერლის მშობლიურ სოფელ წერაქვის დაიდა მისი ძეგლი (ავტორები რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. მიზანდარი, არტიტიკტორი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი ა. მარგველაშვილი), თბილისში, პაბტრონის ქუჩისა და მშვიდობის პროსპექტის გადაჯვარდინზე, აღიმართება მწერლის ძეგლი.

მ. ჯავახიშვილს მის სიცოცხლეში ოფიციალური რეგალიები არ აკლდა. 1936 წლის ნოემბერში დაწერილ ავტობიოგრაფიას ის ასე ამთავრებდა:

„ამჟამად ვირიცხები წვევარს საქართველოს ცაკის, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის, სრულიად საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმის, პუშკინის მთავარი საიუბილეო კომიტეტის, პრეზიდიუმის, შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის, ლიტფონდის გამგეობის, ენის ნორმების დამდგენი კომისიის, თავმჯდომარედ მწერალთა კავშირის პროზის სექციისა და სხვ.“

1936 წ. შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს“.

დაიხ, ეს ასე იყო, მაგრამ დავაკვირდეთ რას წერს იგი თავის უკანასკნელ ანექტასა თუ ინტერვიუში:

„ზოგი მეგობარი მეუბნება: მემუარების დაწერა ადვილ, 70 წლისა რომ შესრულდები, მაგას დაშინ შეუდექიო. მე უკვე 56 წლისა შევსრულდი და ვგრძნობ, რომ მესხიერება მალაღატობს, ამიტომ დაგვიანება ჩემ მემუარებს უეჭველად დააზარალებს. ესეც რომ არ იყოს, „არ ვინ მი დგება თავ დე ბა და, რომ 70 წლამ დის გაავძლე...“

რა იყო ეს ბოლო ფრაზა — ბუნდოვანი **წინათვრინობა თუ ცოდნა** იმისა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ან **უნდა მომხდარიყო?**

ამას უკვე ვერაინ გაიგებს.

რაც მთავარია, როგორც ქართველი კაცი იტყვის, სამართალმა პური ჭამა და დრომ, ისტორიამ თავისი სიტყვა თქვა — მან მიხილ ჯავახიშვილი საბოლოოდ დაუბრუნა თავის მშობლიურ ხალხს, მის მშობლიურ ლიტერატურას.



გიორგი ქავთარაძე

ლადო მესხიშვილის სახელოვის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ბასტროლები მოსკოვში

ზურაბ ბახტაძე

ქუთაისის თეატრი მოსკოვს პირველად 50 წლის წინ ესტუმრა კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით. მაშინ მოსკოველებმა იცოდნენ, ვისი სპექტაკლების სანახავად მიდიოდნენ. 1981 წლის უჩვეულოდ ცხელი ივლისის მეორე ნახევარში კი ქალაქში დარჩენილ მოსკოველთა სტუმარი იყო სულ სხვა დასი, რომელსაც ხელმძღვანელობს მათთვის ცნობილი მსახიობი, მაგრამ უცნობი რეჟისორი გიორგი ქავთარაძე.

დამოუკიდებელი მუშაობის სურვილმა ჩაიყვანა გ. ქავთარაძე თბილისიდან ქუთაისში. ეს მოხდა ხუთი წლის წინათ. ამ ხუთ წელიწადში თეატრის მთელმა დასმა დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდა ხელი როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო კლასიკურ დრამატურგიას. თეატრის რეპერტუარის მთავარი ღირსებაა მისი მრავალფეროვნება. მეტყველი ფაქტია ისიც, რომ ბოლო წლებში განხორციელებული 30

ქართული პიესიდან 14 პირველად ქუთაისში დაიდგა.

მოსკოვში ქუთაისის თეატრმა ჩაიტანა ექვსი სპექტაკლი: ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“, ა. ოსტროვსკის „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“, ფრედერიკო გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“, დ. კლდიაშვილის „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“, შექსპირის „კორიოლანუსი“ და ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“.

16 ივლისს სამხატვრო თეატრის ახალ შენობაში ქუთაისის თეატრმა ნარმოადგინა თავისი პირველი საგასტროლო სპექტაკლი „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“.

„როგორ იწრთობოდა ფოლადი“ იმდენად პოპულარული ნაწარმოებია, რომ მაყურებელი წინასწარ შემუშავებული „გეგმით“ მიდის. თეატრმა მიზნად დაისახა შეექმნა ადრე შექმნილი სპექტაკლე-

ბისა თუ ფილემებისგან განსხვავებული ნაწარმოები, რომელიც, ზემოთქმულის მიუხედავად, დაინტერესებდა მაყურებელს. ეს სპექტაკლი ასცდა იმ გარეგნულ პათეტკას, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად ახასიათებს რევოლუციისა და მისი შემდგომი პერიოდის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს. მაყურებელი მიხვდა, რომ ამ რომანის ასე საინტერესოდ და ამგვარი ტემპერამენტით დამდგეული თეატრი სხვა ნაწარმოებებსაც ასევე კარგად დადგამდა და, როგორც შემდეგ ვახვდა ცნობილი, მოსკოველებს ძალზე მიეწონათ თეატრი. გ. ქავთარაძის რეჟისორულმა ფანტაზიამ, მხატვარ მ. შველიძის მიერ შექმნილმა გარემომ, კარგად შერჩეულმა მუსიკამ და ქუთაისელ მსახიობთა ზუსტმა და ემოციურმა თამაშმა შეძლო მოსკოველი მაყურებლის გადაყვანა ოსტროვსკის სამყაროში. „თავბრუნდამხვევი სისწრაფით იცვლება ეპიზოდები, როგორც რევოლუციური კინოქრონიკის კადრები. მშვენიერი ხერხია; კადრი უცნაოდ გაიყიდა, გაირინდა, თითქოს უხილავი აპარატის ობიექტივმა სამარადისოდ აღებქდა, მაგრამ გაისმის სრულა, პირობისკენ მონოდება და კვლავ დაიძრა ისტორია“, — წერდა „პრავდაში“ თეატრალური კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნინა ველეხოვა.

ქუთაისის თეატრმა გასტროლის პირველი ექვსი დღე მოაწოდომა ექვსი საგასტროლო სპექტაკლის თითოჯერ ჩვენებას; და თუ მაყურებელმა ყველაზე დიდი რაოდენობით იწყო მოსვლა პირველი ექვსი დღის შემდეგ (მანამდე მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა), თეატრის სპეციალისტებსა და საკავშირო კულტურის სამინისტროს მუშაკებს თეატრის შესაძლებლობანი უკვე პირველივე სპექტაკლიდან სჯეროდათ. მათ იცოდნენ, რომ ყველა სპექტაკლი თანაბრად მაღალხარისხოვანი არ იქნებოდა, მაგრამ უკვე ჰქონდათ იმისი გარანტიაც, რომ უხეირო დადგმის ნახვა არ მოუხდებოდათ.

ა. სუმბათაშვილი-იუჟინი მოსკოველი თეატრალებისთვის მშობლიური სახელია, მისი „ღალატი“ კი თეატრალების ძველი თაობისთვის კარგად ცნობილი ნაწარმოები, რომელსაც აუტორმა ლეგენდა უწოდა და ამით კონკრეტულობა და ეროვნული ჩარჩოები თითქმის ჩამაშორა, მაგრამ,

ალბათ, მოსკოვში არავინ იფიქრებდა, რომ ქუთაისიდან ჩამოიტანდნენ ასეთ მასშტაბურ სპექტაკლს, ისტორიული პანოს მსგავსად გაშლილს, მომლოალოთა გუნდით და მოცეკვავითა ანსამბლით, რომლებიც ძველებრძნული ქორის მსგავსად ემინაინებინ პიკითა გადმოცემულ ამბებს და სპექტაკლში კიდევ ერთ სპექტაკლს“ ქმნიან. წარმოდგენაში რეჟისორისა და აქტიორების მიერ დამაჯერებლად და ასახული ლაღატის განმამაპრობებელი პოლიტიკური სიტუაცია და მის ფონზე გაშლილი დრამატული სიუჟეტი. ოთარ-ბეგისა (ა. ხერხაძე) და ანანია გუბასის (გ. კაკაურიძე) ეპიზოდებიდან მაყურებელი უკვე მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა სუმბათაშვილის პიესის ღირსეულ შემსრულებლებთან, ხოლო პირველი მოქმედების ბოლოს, ოთარ-ბეგისა და ზეინაბის (ე. ხუტუნაშვილი) ცვენას სთეიტაცია და მის გრგო, რომ მთელი სპექტაკლის შთამბეჭდავი ფინალი გეგონებოდათ. მოსკოველი და მოსკოვში ჩამოსული ქართველები აღელვებულნი უყურებდნენ მაყურებლის რეაქციას და ეამაყებოდნენ, ახარებდნენ ქართული ხელოვნების კიდევ ერთი ნიჭიერი გამოვლენა.

„გრძნობის თავისუფლება, აზრის ტემპერამენტულობა განსაზიხრდა კიდევ ერთ სპექტაკლში. ეს არის სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, რომელიც დიდი ხანია აღარ იდგმება — თითქოს ვიღაცმა სიძველის აღმნიშვნელი დალი დასავაო. მაგრამ, როგორც ჩანს, უსამართლოდ; „ღალატს“ სუნთქვაშერული უყურებენ. თეატრმა შეძლო სინამდვილისა და ლეგენდის, ჭეშმარიტი ისტორიისა და ფანტაზიის შერწყმა“ („პრავდა“).

„დღეს ლაღო მესხიშვილის თეატრის მსახიობი „ღალატში“ თამაშობენ არა ისე, როგორც თამაშობდნენ წარსული და ახლანდელი დროის სამხატვრო თეატრში და არა ისე, როგორც მცირე თეატრში; ისინი საერთოდ სხვისი გავლენით არ მოქმედებენ. მე არ დავინყებდი მათ შეფასებას „პირობითობისა“ და „ყოფიერების“ ეტალონით, რეჟისორ გ. ქავთარაძეს თავისი სტილი აქვს, რომელიც წარმოშობილია მისი მხატვრული მსოფლგაგებისა და ინტუიციის სიღრმეში, ურომლისოდაც, სხვათაშორის, შორს ნასვლა არ შეიძლება“.

ალსანიშნავია, რომ „ლიტერატურნია

გაზეტას“ ამ წერილში განხილულია მოსკოვის სახელმწიფო თეატრების დადგმები, რომლებიც თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა ტენდენციებზე, სტილისტურ ორიგინალურობაზე მსჯელობის საფუძველს ქმნიან.

ამ კონტექსტში გ. ქავთარაძის მიერ დადგმული სპექტაკლების „ლალატისა“ და „კორიოლანუსის“ მოხსენება ფრთხილ შთაბეჭქდავად გამოიყურება.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ვერ ჩამოვიდა „ბერნარდა ალბას სახლის“ გოტარის პარტიის შემსრულებელი, რომელიც სპექტაკლში ერთგვარი მუსიკალური ნაშეყანის ფუნქციას ასრულებდა — იგი მაინც ერთ-ერთი ყველაზე ბედიანი სპექტაკლი აღმოჩნდა. მის პირველ წარმოდგენაზე, როდესაც გასტროლები ორიოდ დღის დაწყებული იყო, სტუმრად მოვიდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები, რომლებიც დილით ადრე საფრანგეთში, ავინიონის ფესტივალზე მიფრინავდნენ. მათ სითბოთი, იუმორითა და სიმღერებით გაამხნევეს თავიანთი ქუთაისელი კოლეგები და მეგობრები.

მომდევნო წარმოდგენას დაესწრნენ ესპანეთის სრულუფლებიანი ელჩი ლ. პერინატი, წარმოშობით ბასკი, კულტურის



სცენა სპექტაკლიდან „კორიოლანუსი“. კორიოლანუსი — გ. სენაძე

სცენა სპექტაკლიდან „რამდენიმე სურათი კომუნისტის ცხოვრებიდან“




ატაშე და საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც გვიან ღამემდე ესაუბრებოდნენ თეატრის ხელმძღვანელებს. ბოლოს კი „ბერნარდა ალბას სახლი“ დააჯილდოვა საკავშირო კულტურის სამინისტრომ. გარსია ლორკას მიერ დიდი სიძლიერით დახატული დესპოტიზმის მჭმუნვარე სურათი ქუთაისელთა სპექტაკლში კიდევ უფრო გამძაფრდა პიესის იდეის სწორად ამოკითხვით და კარგი მხატვრული და მუსიკალური გაფორმებით. „გარსია ლორკას დრამა „ბერნარდა ალბას სახლი“ სცენაზე ვერ გადადის. ყოველ შემთხვევაში, მე არ მინახავს იგი უკეთესად ხორცშესხმული, ვიდრე ეს ენახე ქავთარაძის სპექტაკლში“, — წერდა გაზეთ „კომუნისტში“ იგივე ნინა ველხოვა, რომელმაც უფრო ადრე „პრავდაში“ აღნიშნა, „სწორედ ამ თეატრისთვის, რომელიც თავის ხელოვნებაში ინახავს ჭეშმარიტად პოეტური ძალის ეროვნულ კოლორიტს, ახლობელია ესპანეთის პოეზია, მისი მუსიკა, ხასიათები და აზრები“.

„სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“
ორი დამოუკიდებელი ნაწარმოებისგან

შედეგება: — ესენია „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“. ფიქტურულად რომ „ირინეს ბედნიერებაში“, სადც წაწკლებია გროტესკული ელემენტი, ალბათ, შეუძლებელია ახალი თვისებების აღმოჩენა. იქნებ, ამ პიესისა და სპექტაკლის გავლენით უსაყვედურა „სოვეტსკაია კულტურაში“ ირინა შოსტაკოვა გ. ქავთარაძეს კლდიაშვილის „ტრაგედიზაციის“ გამო, თორემ სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირს“, თამამად შეიძლება ითქვას, ისევე არ აკლია ტრაგიკომიკურობა, როგორც თვით კლდიაშვილის პიესას. მსახიობები რეჟისორთან ერთად გააყვენ კლდიაშვილის გმირთა ხასიათებს, ხოლო მავურენლის „ბრავო“, რომელიც ყოველთვის ისმოდა „იმერეთის სურათებზე“, ერთნაირად ეკუთვნოდათ ნ. კვიციქს, ე. ბუფაშვილს, დ. ვაშაიძეს, ნ. ნავროზაშვილსა და სხვებს და, თუ ქავთარაძის სპექტაკლში მაინც შესამჩნევია ტრაგიკული ნოტი, ეს, ალბათ, ნაწარმოების თავისებური აღქმადან მომდინარეობს.

„კოროლიანუსს“ პრესაში ქება საკმარისად ერგო, კულტურის სამინისტროში ჩატარებულ განხილვაზე კი იგი გააკრიტიკეს. ჟურნალმა „ოგონიოკა“ მას აღფ-

სცენა სპექტაკლიდან „ბერნარდა ალბას სახლი“





როგანეული სტრუქციები უძღვანა, „სო-
ვეტსკია კულტურამ“ კი გვერდი აუარა;
ის ფაქტი, რომ მასურებელთა უმეტესობა
„კორიოლანუსისთვის“ ტაშს არ იშურებ-
და, მონობის, რომ საქმე გვაქვს რთულ
სპექტაკლთან, რომლის ქებისა და კრი-
ტიკის მიზეზებს უფრო დაკვირვებული
შესწავლა სჭირდება. ქუთაისელთა „კო-
რიოლანუსს“ საქართველოში წინამორბე-
დი არ ჰყოლია. მისი დადგმის ტრადიცია
არ არსებობს. გ. ქავთარაძე შეეცადა, ერ-
თი მხრივ, შექსპირის სამყაროს ერთგული
დარჩენილიყო, მეორე მხრივ, შეექმნა თა-
ნამებდროვე, თავისებურად ნაკეთხული
სპექტაკლი, სადაც ძალზე საინტერესოა
და გადამწყვეტილი ხალხის მსახეობა და
მთავარი გმირების ურთიერთობა. ერთის
მხრივ, ჩვენ ვხედავთ ნიღბების გამოსულ
ხალხს, რომელიც სიტუაციის ცვალებად-
ობასთან ერთად სახეს იცვლის, მეორეს
მხრივ, ტრაგედიის გმირებს — გზნებით,
ერთგვარად ზეანუგულად წარმოდგენილთ.

პირობით, თეატრალურ სტილში განხო-
რციელებულ სპექტაკლთა შორის, იმავე
„ლიტერატურნაია გაზეტას“ ძალზე საინ-
ტერესოდ მიაჩნია გ. ქავთარაძის „კორიო-
ლანუსი“. „აქ შემიძლია მოვიხსენიო —
წერს ავტორი — სახალხო თემის პირო-
ბითი, ნიღბების მეოხებით გადწყვეტა გ.
ქავთარაძის მიერ დადგმულ „კორიოლა-
ნუსში“, მსახიობ ე. სვანაძის მიერ კაიუს
მარციუსის როლის ტრაგედიული შეს-
რულებით. ამ სპექტაკლის საშუამრულებ-
ლო მხარეზე შეიძლება დავა, მაგრამ, რაც
შეეხება რეჟისორის მიერ პიესის გააზრე-
ბას, იგი ამ ნაწარმოების ერთ-ერთ საინ-
ტერესო ამოხსნად შეიძლება ჩაითვალოს.
„რაც უნდა ითქვას, შექსპირი დასადგმე-
ლად მიიწვინა; ამ ქვაზე არავით თე-
ატრს წაუტეხია ფეხი“, აღნიშნავს ყურ-
ნალი „ოგონიოკი“ და იქვე დასძენს, რომ
ქუთაისელთა სპექტაკლი ასცდა ცრუ წარ-
მატებისკენ მიმავალ გზას.

„კორიოლანუსში“ შექსპირის მთავარ
გმირზე არანაკლებ შინაარსიანი რამდენიმე
სახე აქვს მოცემული და პიესის ფონიც
რეჟისორისგან დამუშავებას მოითხოვს, მა-
გრამ მთავარი მისცე კორიოლანუსია და
ერთმო სვანაძის მოსკოვში ყველაზე მეტი
მოსთხოვეს. სპექტაკლიც, უპირველესად,
მისი თამაშის მიხედვით შეაფასეს, ბევრი
სამართლიანი საქებარი სიტყვა ითქვა და
დაიწერა სვანაძის მსახიობობა ხელოვნე-
ბაზე. აღნიშვნის ღირსია მერაბ ჩიქოვანის
აგრძობა, რომელიც კრიტიკამ და მასურე-
ბელმა ერთხმად აღიარეს. უნდა გამოიყვ

ენ. ოყრეშიძისა და ანალგაზრდა ზ. მწელა-
ნის თამაშები.

ა. ჩხაიძის „შთამომავლობამ“ სხვა პრო-
ბლემები წარმოშვა. მოსკოველ მასურე-
ბელს რეაქციისა და ტაშის გარეშე არ
დაუტოვებია ა. ჩხაიძის პიესის არცერთი
იუმორისტული დილაოგი თუ სოციალუ-
რად მახვილი ფრაზა, მაგრამ ამან პიესისა
და სპექტაკლის საერთო სისუსტეს ვერ
უშველა. „პრავდაში“ „შთამომავლობა“ და-
სახელა ქუთაისელთა ერთადერთ დადგ-
მად, რომელმაც „ვერც პიესაში და ვერც
თეატრის სტილისტიკისთვის ვერაფერი
ახალი ვერ აღმოაჩინა“. გაზნების „სოვეტ-
სკია კულტურამ“ დადგმა და პიესა ერთ-
მანეთისაგან არ გაჰყო და ორივეს სისუ-
სტეზე მიუთითა. ჟურნალმა „ოგონიოკმა“
„შთამომავლობა“ მხოლოდ სპექტაკლში
სიაში მოიხსენია, გაზეთ „კომუნისტში“
კი ნინა ვილენოვა თეატრს შეუქო თანა-
მედროვეობის პრობლემებისადმი ყურად-
ღების გამოჩენა, მაგრამ იქვე დასძინა,
რომ „სამწუხაროდ, ა. ჩხაიძის პიესა
„შთამომავლობა“ საქმაო საზრდოს არ
იძლევა ამ პრობლემების გადასაწყვეტად.

ბევრი ქება ერგოთ ქუთაისელ მსახიო-
ბებს. საქმე მარტო ქებაც არ არის; შეიძ-
ლება გახტებში ზოგი უფრო მეტად აქვს,
ზოგიც ნაკლებად, მაგრამ ლაპარა-
კი ქუთაისის თეატრზე, როგორც ნი-
ჭიერ მსახიობთა დასზე, გასტროლე-
ბის პირველი დღიდან ბოლომდე გრძელ-
დებოდა. გამოჰყვეს ვაჟა ოყრეში-
ძის კორჩაგინი და მაია სამანიშ-
ვილის რიტა უსტინოვიჩი. „ბერნარდა ალ-
ბას სახლის“ ქალთა ანსამბლი ერთი
ახოვრებით ცხოვრობსო, განსაკუთრებით
მძაფრად — ნათელა სალარაძის ბერნარ-
და. ზემოთ აღინიშნა „ღალატის“ მონაწი-
ლე ის მსახიობები, რომლებსაც განსაკუ-
თრებული წარმატება ხვდათ, მაგრამ „ღა-
ლატის“ მსახიობური მხარის მთავარი
თვისება ანსამბლურობაა, რომლის მიღწე-
ვებში რეჟისორს დიდად შეუნყვეს ხელი
მსახიობებს ი. ჩხეიძემ, მ. ჩიქოვანმა. მ.
სამანიშვილმა, თ. თავაძემ და სხვებმა.
„იმერეთის სურათების“ მონაწილეებზე
მოსკოვში ბევრი ითქვა, მათ ამ წერილშიც
შეეხე, და სადაც „ღალატის“ ანსამბლუ-
რობას ვახსენებთ, იქვე ამ სპექტაკლსაც
უნდა შეუქოთ ეს თვისება. ეს, ალბათ, ამ
ორი ნაწარმოების მასალის ეროვნულო-
ბამ და ისტორიულად ჩამოყალიბებულმა
სათამაშო ტრადიციებმაც განაპირობებს.

მოსკოველი მასურებელი ერთ-ერთ თე-
ატრს კარგად იცნობს და თუ იქ საგასტ-
როლოდ ჩასული თეატრის ხელოვნება არ

იქნება შესაბამისი მხატვრული დონისა, უკვე სულერთია, იგი თბილისიდან იქნება თუ პერიფერიიდან, მას შელავათს არავინ მისცემს. მოსკოვში ქუთაისის თეატრის კარგიცა და ცუდიც ჩვენი საუკეთესო თეატრების მიღწევათა ფონზე შეფასდა და ქებაცა და კრიტიკაც მაღალი პოზიციებიდან გამოითქვა. პრესამ და ოფიციალურმა ინსტანციებმა, რეჟისორისა და მსახიობთა გარდა, აქეს მხატვრები, კომპოზიტორები, მაგრამ აქვე მრავალ გადაუჭრელ პრობლემაზეც მიუთითეს. ამ პრობლემებსა და კიდევ ბევრ საჭირობოროტო საკითხს შეეხო საუბარიც, რომელიც სსრკ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

თბილი შეხვედრა მოუწყო ქუთაისის თეატრს გაზეთ „იზვესტიას“ ყოველკვირული დამატების „ნედელის“ რედაქციამ, რომელმაც ნერილიც დაბეჭდა თეატრის შესახებ. გოგი ქავთარაძეს კინოთეატრ „სლავაში“ შეხვედრა მოუწვევია მოსკოველმა კინომაყურებლებმა. გასტროლების დახურვის დღეს კი თეატრს სიურპრიზი ელოდა; კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფროსმა მ. ჩაუსოვმა ქუთაისის თეატრს გადასცა საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის პ. დემიჩევის ბოდიში იმის გამო, რომ ქალაქში არყოფნის მიზეზით სპექტაკლებს ვერ დაესწრო და გაცნო თეატრს სამინისტროს ბრძანება, რომლის მიხედვით სპექტაკლების „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“ და „ბერნარდა ალბას სახლი“ რეჟისორი და მონაწილეები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიით.

ასე დამთავრდა ქუთაისის თეატრის გასტროლები მოსკოვში, რასაც თეატრის მომავალი მუშაობის სტიმულირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნერილს დავამთავრებ ქუთაისის თეატრის მიმართ „სოვეტსკაია კულტურასა“ და „პრავდაში“ გამოთქმული სურვილებით: „სასურველია ქუთაისელთაგან ლირიკული, კომედიური და სატირული ნოტების მოსმენაც“... „დღეს უკვე საჭიროა ფიქრი იმაზე, თუ საით წავა თეატრი, რა ახალ მიზნებსა და ამოცანებს დაისახავს იგი“.

სცენა სპექტაკლიდან „შაჰამოველობა“

სცენა სპექტაკლიდან „ორინეს ბედნიერება“

სცენა სპექტაკლიდან „დარისპანის განაჰირი“



ტრაღედია — თანამედროვე ენაზე

ლადო მესხივილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო განხილვა მოსკოვში

16-30 ივლისს მოსკოვში ხავასტროლოდ იშოფე-ბოლა ლადო მესხივილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რამდენიმე სამხატვრო თეატრის ახალ სცენაზე, ტვერის ბულვარზე მათეურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები: „რამდენიმე სურათი კომუნისტის ცხოვრებიდან“, „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“, „კოროლანუ-სი“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „ღალატი“, „შთამომავლობა“.

სსრკ კულტურის სამინისტროში გაიმართა ქუთაისელი საგასტროლო სპექტაკლების განხილვა, რომელიც შესავალი ხიტვეთ გახსნა სსრკ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ა. ივანოვმა, განხილვასი მო-

წაწელობა მიიღეს: სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების ეროვნული თეატრების კაბინეტის გამგემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ი. შოტაკმა, ურნალ „თეატრის“ პასუხისმგებელმა მდივანმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა მ. შვიდლომ, თეატრ „რომენის“ რეჟისორმა ე. ევაქემ, ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტმა ა. ბარტოშვიტმა, ხელოვნებისმცოდნე გ. კოვალენკომ, სამხატვრო თეატრის სკოლა-სტუდიის პედაგოგმა — ა. დროზდინმა, ლ. მესხივილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ.

ვებედეთ განხილვის მოკლე ანგარიშს.

ი. შოტაკი — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ქუთაისის ლადო მესხივილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლების ნახვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმაჩრობს რეჟერტუარის მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემების, თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ძირითადი ასპექტების მისწავლაზე.

თეატრის ყველაზე დიდ ღირსებად მიმაჩნია მაღალი დონის ლიტერატურული ნაწარმოებების შერჩევა — შექსპირი, ლორკა, ნ. ოსტროვსკი, კლიაშვილი, თანამედროვე წამყვანი დრამატურგი ა. ჩხაიძე და სუბმათაშვილი-იუენის უნიკალური ნაწარმოები „ღალატი“.

თეატრი ამჟღავნებს პეროიკული, მასშტაბური გმირული ხასიათებისა და მეთოდებისადმი სწრაფებას, შაგამ იბადება კითხვა — ხომ არ ზღუდავს ამით იგი თავის შესაძლებლობებს? ხომ არ იკარგება რაღაც თეატრის შემოქმედებაში? ცალმხრივად ხომ არ ასახავს იგი ცხოვრებას? სასურველი იყო სცენაზე გვენახა კომე-

დიური ფერებიც, ლირიკული დრამაც... ეს მომავლის საქმეა და ურიგო არ იქნება, თეატრმა ამაზე იფიქროს.

აღსანიშნავია ტრაგიკულ მსახიობთა რსატარობის მაღალი დონე, ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ დღეს მთელი რიგი თეატრალური კოლექტივები მწვავედ ვანიციდნან დრამატული მსახიობების ნაკლებობას, მხედველობაში მამქს ზეინების, კოროლანუასა და კაროენს როლების შემსრულებლები.

საგასტროლო სპექტაკლები დადგმულია თეატრის მთავარი რეჟისორის გ. ქავთარაძის მიერ. დეტალურად მინდა შეეჩერდე სპექტაკლზე „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“, ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ინსცენირებაზე, ვინაიდან იგი ყველაზე მაჟიოდ გამოხატავს რეჟისორის დამოკიდებულებას დრამატული, ლიტერატურული შასალისადმი. სპექტაკლის კომპოზიციაში ჩანს რეჟისორის ჩანაფიქრი და მისი კონცეფცია.

ჩვენს წინ გამოდის პავლე კორჩაგინი, იცვლება სცენები და მასურებლის თვალწინ გაივლის გმირის მთელი

ცხოვრება. აქ რეისორი უშვებს ფილოსოფიური დისკუსიის შესაძლებლობას. და სწორედ ეს მიმართა სპექტაკლის ყველაზე დიდ მიღწევად. გიორგილი მოთხრობა ყოველთვის უნდა გადაიღოს ფილოსოფიურ დისკუსიას, ვინაიდან რომანიცა და სპექტაკლიც (ინსცენირება) მთლიანად ენება ადამიანის ცხოვრების იმ მარადიულ ფილოსოფიურ პრობლემებს, რაც აწუხებს ყველა ადამიანს ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე.

სპექტაკლის წარმატება განაპირობა მთავარი გმირის როლის შემსრულებლის ოყრემლის ჩინებულმა თამაშმა. მსახიობის დიდმა ტემპერამენტმა, ალლომ, აზროვნების უნარმა ერთგვარად წაშალა ის ნაკლი, რაც შეიძინა ლიტერატურული მასალის შერჩევისა და კომპოზიციის თვალსაზრისით.

რამდენიმე სიტყვა „ლალატზე“, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით ჩამოქონილ სპექტაკლად მიმაჩნია. პიესა წაითხლებოდა ერთი ამოსუნთქვით. იგი ენება სეროზულ, წინდა, ეროვნულ ამბებს. სპექტაკლი გადაწყვეტილია ქორეოგრაფიული და მუსიკალური საზოგადოებებით. მასში მოცემულია არა უბრალოდ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, მიწაწყლის შენარჩუნებისათვის, არამედ ბრძოლა ადამიანის გრძელვადიანი ღირსებისათვის, ხალხური კულტურისა და ტრადიციების დაცვისათვის. ზეინაბისა (ნ. ნავროზაშვილი) და ოთარ-ბეგის (ა. ხერხაძე) როლების შესანიშნავ შესრულებასთან ერთად სწორედ ეს მიმაჩნია სპექტაკლის ძირითად ხაზად.

რამდენიმე სადავოდ მიმაჩნია რეისორის დამოკიდებულება ნაწარმოების სტილისადმი სპექტაკლში „სუათები იმერეთის ცხოვრებიდან“. იგი ვერ პასუხობს ანართუ სპეციფიკას.

რეისორს, რა თქმა უნდა, აქვს ტრანსფორმაციის უფლება, მაგრამ ნაძალადევად მიმაჩნია ტრაველომა, რადგან ეს ნაწარმოები მინც ტრაველომია, თუმცა მასში უკანადა მოცემული ცხოვრების პირველი აღქმა, რასაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს მუსიკალური გაფორმება.

სწორად მოიქცა თეატრი, როცა „ბერნარდა ალბას სახლი“ გადაწყვიტა, როგორც ტრაველომა. ამ რეისორულად შეკრულსა და საინტერესო სპექტაკლში ორი მოტივი გატარებული — დესპოტიზმისადმი სიმულაციური, ყოველნაირად რომ ზღუდავს პიროვნებას და ბედ მარტოხელის ქალისა, რომელსაც დესპოტიზმმა, ცრუმორწმუნეობამ და პირმოთენიობამ წაართვა თავისუფლება. ამ ორი მოტივის დაკავშირებამ განაპირობა სპექტაკლის ტრაველომი. შინაარსისა და შესრულების თვალსაზრისით ასეთ რთულ სპექტაკლში იშვიათი აქტიორული ანსამბლია შექმნილი.

სავსებით გასაგებია, რომ პერიოკულ თეატრს უჭირს თანამედროვე დრამატურგიაში ანალიზის პოვნა. ამის მავალითაა „შთამომავლობა“, თუმცა, ქუთაისის თეატრამ სირთულეს როგორცაე სძლევს.

მინდა დაეიყვრო, რომ მოსკოვში კვლავ განახავთ, მაგრამ არა 50 წლის შემდეგ, ეს უაზრობა იქნებოდა. გიორგილი, ყველა პრობლემა, რაც გაღელვებთ, უახლოეს დროში გადაგვქრათ.

მ. შაიდაძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ქუთაისის თეატრის საგასტროლო ბუკლეტში ნათქვამია, რომ გასტროლები მოსკოვში იქნება თეატრის შეადგენლობითა ყველაზე ობიექტური გამოცდა და რომ თეატრი ელის პირუთვნელ განაჩენს. ამის თქმა შეუძლია მხოლოდ ისეთ თეატრს, რომელიც დარწმუნებულია თავის ძალებში, და სოვლის, რომ სწორ გზაზე დგას. ეს სიტყვები თეატრის სიძლიერეს მოწმობს და ამიტომ ჩვენი „სამართალიც“ ძლიერთა კანონებით განიჩინება.

ქუთაისელთა ჩამოსვლა მოსკოვში ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. არც ერთ თეატრთან არ ასხლავს 30-იანი წლების გასტროლები. მაგრამ ამ თეატრს გარკვეული რეპუტაცია უკვე აქვს მოსკოვში, იმიტომ, რომ თეატრის მთავარ რეისორს აქვს თავისი პიროვნული რეპუტაცია. მას ჩვენი საზოგადოება იცნობს კინოფილმიდან „ქორწილი“ და უყვარს კიდევ.

ძალზე მნიშვნელოვანი და პრიციპულია ის, რასაც გ. ქავთაძე ქუთაისის თეატრში აცხადებს. იგი ცდილობს ტრადიციულს თანამედროვე ელერადობა მიანიჭოს, ტრადიციას თანამედროვე ენაზე ამბეჭდვოს. აი, ეს ძირითადი ხაზი განსაზღვრავს დღეს ქუთაისის თეატრის მიღებებს მიმართულებას.

ქუთაისის თეატრზე მსჯელობა მინდა დაეიწყო „სურათობით იმერეთის ცხოვრებიდან“. თეატრი გვიჩვენებს დარბაზისას გასკობის და არც ეშინია, რომ აქ იგი ეშვარად პერიოკული დრამატული თეატრისკენ იხრება. ამაში მე რეისორს ვერ დავეთანხმები. ვიტყვი მხოლოდ, სპექტაკლში ბევრი რამ არის დამაფიქრებელი, რაც შეეხება მსახიობებს, მათ რომ სყროდეთ იმის, რასაც სცენაზე აკეთებენ, სპექტაკლი უფრო საინტერესო იქნება. ვასთაცარია ნ. ნავროზაშვილი, თუმცა მისი პარტნიორები გამოცდილი მსახიობები არიან, მანც იგი გამახსოვრდებათ, რადგან მას არ ეშინია სენტიმენტული ტრაველომის გათამაშების სცენაზე.

დაბოლოს, სპექტაკლის ტრაველომიზმი სრულად გამოვლენილიყო, უფრო თანამედროვედ. ზუსტად რომ იყოს ჩაფიქრებული მუსიკალური პარტიტურა. ამაზე საჭიროა დაფიქრება.

სერიოზული ნამუშევარია „ლალატი“. აქ ყურადღებას აიპყრობს ტრაველომის მსახიობთა ანსამბლი.

ა. ჩხაიძის „შთამომავლობასთან“ საპრეტენზიო ბეჭდის მაქვს. პიესაში შექმნილ სიტუაციას მერტ დახვეწილ დაზუსტება ესაჭიროება. ამ ნაწარმოებმა „წითელი ძაზვილი“ გამახსენა. მართლაც ასეა, მომხიბვლელ მსახიობებს ბევრს აპატიებენ. მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო. აქამდე ორ ქართულ პიესაში კვდებოდა ბებია, ახლა მათ შესამეც დაემატა. გამოდის, რომ ბებიათა სოკვილიანობა თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში ძალიან მალაია.

სექტაკლი კორჩაგინზე ძალიან კარგი ნაწარმოებია. იგი თეატრის განუწყვეტელ მიმზღის, რაც მე ყველაზე არსებით მომეხანია.

ქუთაისის თეატრის გაცნობამ სიყვით მოუტანა, დიდი ინტერესი გულისხმავს ჩემს კოლეგებს. ამ თეატრის პრობლემაზე ჩვენი პრობლემაზეცაა, და მე მგონია, რომ სწორედ ეს არის მიუყრდნობელი განხილვა ამ შესანიშნავი კოლექტივის მოღვაწეობისა.

2. შავაძე — რეჟისორი.

მე შემოვიფარგლები ჩემი კოლეგის გ. ქავთარაძის შემოქმედების განხილვით. გ. ქავთარაძეს ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ. ეს ნათელი, მუშუკოვარი პროფესიაა, რომლის მოღვაწეობასაც თვალყურის ადევნებენ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის თეატრალურ წრეებში. მისი მოსვლა ქუთაისის თეატრის საეტიპო მოვლენად იქცა ამ კოლექტივისათვის. დღეს თეატრის საქმიანობას იქ ასე ყოფენ — ქავთარაძემდელ და ქავთარაძის დროინდელ პერიოდებად. მისი მოსვლის შემდეგ თეატრმა შეიმუშავა პროგრამა, სამყაროს აღმოსავლეთის თავისებური ინდივიდუალური ხარხები. ამის დასტურია ქუთაისელთა მიერ მოსკოვში წარმოდგენილი ექვსივე სექტაკლი. ეს არის თეატრის ექვსი სახე, რაც იმას მოწმობს, რომ რეჟისორი არ ზღუდავს თეატრის შესაძლებლობებს და მეტად თამამი, პასუხისმგებელი პოზიცია უკავია.

„რამდენიმე ეპიზოდში კომუნისტის ცხოვრებიდან“ ქავთარაძემ თავის თავს მიავსო. სექტაკლში ბევრი შთამბეჭდავი და სწორად გადაწყვეტილი მომენტია. განსაკუთრებით საინტერესოა ფინალი, რომელშიც მთელი დანი დარბაზისკენ მოემართება, მყურებულის თვალწინ აღდგება დრო 1917 წელსდამდებული დღემდღე, ვხედავთ ჩვენი ქვეყნის მშენებლებს კორჩაგინელებიდან დღევანდელ ბაშელბამდღე.

წარმატებით გაათავო თავი გ. ქავთარაძემ შექსპირის ურთულეს პიესას „კორიოლანუსს“, მის მიერ კარგად მოფიქრებული, ნიღბებით გამოსახული უსინათლოთა მსახივრობა ზუსტად გამოჰყოფს ხალხს, მასს.

ეს ნამუშევარი გვაძლავს უფლებას ვიმსჯელოთ გ. ქავთარაძეზე, როგორც რეჟისორზე, რომელმაც დასძლია ძალზე რთული პრობლემა. აქ მასთან ერთად არიან მსახივრები, რომლებმაც რეჟისორის ჩანაფიქრი ასე ლამაზად, ასე შთამბეჭდავად მოიტანეს მაყურებელი-ქართველი კლასიკოსის და კლდისეული ნაწარმოებების „დარბაზის ვასპურისა“ და „ორიანს ბედნიერების“ მიხედვით გაეთუთული სექტაკლი „სურათები იმერეთის სიბერებიდან“ კმედიული ნაწარმოებია. რეჟისორმა კი იგი ჩაიფიქრა და განახორციელა, როგორც დრამა და მეტად ეფექტურ შედეგსაც მიიღწია.

საკმაოდ ცნობილი იანამედროვე დრამატურგის ა. ჩხაიძის პიესა „შთამომავლობა“ სუსტი და სქემატურია. გაუგებარია, ამ სიხეგამოვლილმა ადამიანმა რით მიიპოვა მორალური უფლება ემზილებინა მის გაწმეში მყოფნი, ანდა რით მიიპყრო პიესამ თეატრის უფრადლება. ამ სექტაკლთი უფრადი ის უნდა ვჯიოსხარ, რომ ციხეში მოხვედრილი კაცში, პასუხს რომ აგებს თავისი დანაშაულისა და შეცდომებისათვის, იღუპებას მოქალაქე-

ობრივი სინდისი და უკან დაბრუნებული არცხვებს ემყოფ, ვინც ვარს ახვევია, ვინც შეცდომას უშვებს, ექვეყნა ნაშაულად ჩადის. მაგრამ მასხიხეგებლობის ვაჟეყვეყნა

სექტაკლი „ალატი“ თითქმის ხარკია ძველი თეატრისადმი ვალდებული. ეს უფრო სოლოეზინის როლის შემსრულებელზე ირემის, კინაიდან ზეინაბს, ოთარბეგსა და სხვა გმირებს მსახივრები თანამედროვე თეატრის დონეზე განსახიერებენ, რაც სექტაკლს უდავო ღირსებას ანიჭებს. მილიანობაში ქუთაისელთა „ალატი“ მაღალი რომანტიკული ბელოვებისკენ სწრაფვის ნიშნებს შეიცავს. ეს გვაფიქრებინებს, რომ თეატრმა მიაგნო თავის გზას და იბრძვის მისი განვითარებისთვის. ე. ი. თეატრს უწყვეტ უნარი, ძალა, თავისი ბელოვნება მრავალფეროვანად წარმოვადგინოს.

ეს გასტროლები ქუთაისელთა თეატრისთვის ის მნიშვნელოვანი მომენტია, რის შემდეგაც იტყვიან „მოსკოვი წყალამდე“ და „მოსკოვი წყალის შემდეგ“. სასურველი იქნება ეს გასტროლები იქცეს იმ მოვლენად, რომელიც თავის ასახვას პოევეს შემდგომ უფრო დიდ მიღწევებსა და გამარჯვებებს.

3. ბარბოშინი — ხელოვნებაში ცნობილია.

ქუთაისელთა სავსტროლო სექტაკლებიდან, ჩემი აზრით, მხოლოდ ორი გამოხატავს იმ სტილს, რაც დამდვილად შესაშური თანმიმდევრობით გვიჩვენა თეატრმა.

ყოველმხრივ მისასაღმებელია ქუთაისელთა მისწრაფება რომანტიკული სტილისკენ, რაც ასე იშვიათია ჩვენს თეატრებში. ჩინებელია, როცა თეატრი ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ ეროვნულ ტრადიციებს, რაც ნათლად წარმოჩინდა „ალატის“ ინტერპრეტაციაში.

მე, როგორც დასავლეთის თეატრების სპეციალისტი, შევხვები „კორიოლანუსს“ და „ბერნარდა აღმასახლს“. ეროვნული თეატრების მისწრაფება შექსპირის დრამატურგიისკენ და ეკრძოდ, ამ პიესისკენ დამახასიათებელია და საქმებია.

ჩემი აზრით, სექტაკლის ავტორები — რეჟისორი ქავთარაძე და მხატვრები მ. შევილი და თ. ნინუა სწორად მოიქცნენ, როცა სცენაზე წარმოვადგინეს ახლად შექმნილი რომის სახელმწიფო, არქაული სამყარო, რომელია საყვარო, სწორედ ისეთი, როგორც ავტორს პიესაში აქვს მოციმული.

ნიღბების გამოყენება სექტაკლში საესებო გამართებულია და სექტაკლის ჩარჩოებში მისი. ნიღბი გარკვეული მდგომარეობის ფიქსირებაა, მთავარი აქ ისაა, საიდან ჩნდება ეს მდგომარეობა და რამდენად ბუნებრივია ამა თუ იმ კლასიკური სახის ამოცნობა ასეთ სიტუაციაში. ტრაგედიაში მიმდინარეობს დაძაბული შეტაკება სოციალურ დაჯგუფებებსა და კლასებს შორის. ეს შეტაკება ერთნაირად სახიფათოა ყველასათვის. პლემბს საომრად, აგრესიულად და განწყობილი, კორიოლანუსი უფსკრულის პირას დადის, მაგრამ მანაც ახერხებს პლემბს დაწყნარებას.

სექტაკლში ხშირად ვარკვეული ფსიქოლოგიური ურთიერთობის ნაცვლად ნიღბებისა და ნიშნების გაცვლა მიმდინარეობს, რაც ყოველთვის გამართებულია როლია.

აღსანიშნავია რამდენიმე ეპიზოდი. მე. მსახიობი

ლევევა სულ რამდენიმე შტრიხით წარმოსახავს ძლიერი, ვაჟკაცური, კანდიერი პღებების ხასიათს, საინტერესოდაა ჩაფიქრებული ნიღბების ჩამოცმა და მოხსნა და ზოგიერთი სხვა მომენტი.

შენიშნის სახით — კოროლანუსი თავიდან ბოლომდე უხეშ დიქტატორად გვევლინება და გაუგებარია, სიკვდილის შემდეგ რატომ დაიტირებენ მას, როგორც გმირს ბეთოვენის მუსიკის ჰანგებს ქვეშ. სპექტაკლში არ ჩანს კოროლანუსის ხასიათის განვითარებას დინამიკა, არც ის, თუ რაში მდგომარეობს მისი ტრაგედია.

რაც შეეხება „ბერნარდა ალბას სახლს“, მე იგი აღვიქვი თეატრის დიდ და პრინციპულ გამარჯვებად. მასში ჰუმანიტრი ტრაგედიის შესაქმნელად გამოყენებუ-

ბ. კოვალენკო — ხელოვნებათმცოდნე.

მე შევეცდები წარმოვადგინო ქუთაისის თეატრის სპექტაკლის სცენოგრაფიული ასპექტი, ყველაზე მნიშვნელოვანი ვიცი, რომ ქართული სცენოგრაფია უკვე კარგა ხანია გამოვლინდა როგორც მიმდინარეობა, სკოლა თავიანისტორიით, ტრადიციითა და პერსპექტივებით და მსოფლიო სახელიც მოიპოვა. ქუთაისის თეატრებთან ნაცნობობა ჩემთვის საინტერესოა იმიტომაც, რომ გასტროლების აფიშებზე ვნახე სამი ცნობილი მხატვრის ვეარი.

პირველ რიგში შეეწინებები მ. შველიძეზე. ეს დიდი მასშტაბების შემოქმედია, რომელმაც სერიოზულად ჩაგვაფიქრა თანამედროვე დეკორაციის თავისებურ სკოლასა და ბედზე. შველიძის ნამუშევრებმა შეაგეს და



სენა სპექტაკლიდან „ალბა“

ლა დასის მთელი შესაძლებლობები. ლორკასელი ხასიათები სპექტაკლში ზუსტია და ძლიერი. ცალკე მინდა გამოვყო დიდებული ბერნარდა ალბა (ნ. სალარაძე) და გაშვებული ადელა. ზედმეტად აკვიტებულად მეჩვენება ის თეატრი ქსოვილი დები რომ არაან გადაბმულნი. ზედმეტად ახმაურებენ ბორკილებს, ზედმეტია ისედაც ჩაყვრილ ატმოსფეროში ჩიტებიანი ვალია. „ბოლეროს“ შესახებ კი — ესპანური „მუსიკა“ თავად სპექტაკლში ძღერს და „ბოლერო“ აქ, ჩემი აზრით, გაუძიარებლებულია.

ქუთაისელთა „ალბა“ თანამედროვე დრამატული თეატრია, რომელმაც გამოცა წარმატებით გაიარა და რამდენიც არ უნდა ვიდავთა მეორეხარისისოვან დეტალებზე, ეს ნამდვილი ლორკაა.

გადაფართოვეს ქართული სცენოგრაფიული ხელოვნების არეები. მხატვარი მშფოთვარე ფერებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს მკაცრ, ნატუფ ფერებს.

„რამდენიმე ეპიზოდში კომუნისტის ცხოვრებიდან“ სკენურ სივრცეს (ლითონით შემოფარგლული ადგილი, ცენტრალური ვასასვლელით, ცენტრში რკინიგზის ლინდაგი) ვერ ვინახილავთ მოქმედი გმირებისკენ, ასე ვასინჯეთ, მათი კოსტუმებისგან განცალკევებით. შევლოძის სცენურ მხატვრობაში კოსტიუმიც ისევე თამაშობს, როგორც მხატვრის მონასმი. ფერთა კომპოზიკა სცენაზე საინტერესოდ, ზუსტად, მოფიქრებულად შენდება, ინგრევა და კვლავ შენდება.

„კოროლანუსშიც“ (შველიძე, ნინუა) ძალიან საინტერესო იდეაა ჩაქოვილი. მეც ვეთანხმები რომელი

გარემოს ასეთ გადაწყვეტას. სცენაზე ვხედავთ რომს — ბარბაროსებს, ყოველგვარი მარმარილოსა და პომპე- ზურობის გარეშე. იგი საქათმეს, ან საქონლის სადგომს უფრო ჰკავს. მეორე მხრზე, იქმნება პატრიარქალური, მღელვარე, დაძაბული ატმოსფერო — ასეთ დეკორაი- აში ტრაგედიის თამაშს მცლია.

სპექტაკლების დიდი ნაწილის მხატვრობა ეკუთ- ნის ჯ. ფაუნაშვილს. შესანიშნავადაა გადმოცემული იმერეთის ყოფილი სიტუაციების დადასტოვებული სა- ვნებები და დეტალები სპექტაკლში „სურათები იმერე- თის ცხოვრებიდან“. მეორე პლანზე მოჩანს ტრადიციუ- ლი იმერული პეიზაჟი. ყველაფერი უბრალოა, ვართუ- ლების გარეშე. ამასთან ყველაფერი მომხიბლავია.

„ბერნარდა ალბას სახლის“ სცენოგრაფიაშიც მხა- ტვარი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს ყოფი- თობის გადმოცემაზე, ურომლისოდაც შეუძლებელია ნაწარმოების წესობა. დანახვის მიხედვით თუ რო- გორ არის წარმოდგენილი ყოფითობა, მოსჩანდა ტექს- ტის ზედმეტი ზუსტი გაგება. მე ზედმეტად არ მეჩ- ვენება ბაიდე; ეს არის მხოლოდ ხერხი, რომელიც არც არაფერს გვიხსნის და არც არაფერს გვიდასტურებს.

საერთოდ, ქუთაისის თეატრის სპექტაკლებმა გამო- ავლინა მაღალი დადგმითი კულტურა, რაც მეტად მახარებს.

ბ. ლოზდინი — მხატვის სკოლა-სტუდიის პედაგოგი.

მე შეეხებები მხოლოდ პლასტიკის საკითხებს. ხშირად მიხვდება საუბარი ისეთი სპექტაკლების პლასტიკის მხარეზე, სადაც საოქმელი თითქმის არაფერია და მიხა- რული ვარ, ქუთაისის თეატრის სახით გაცივანი ისეთი კოლექტივი, რომელზეც თავისუფლად შეიძლება ლა- პარაკი.

თეატრის მთავარ რეჟისორს გ. ქავთარაძეს ესმის პლასტიკის მნიშვნელობა და მუშაობაც შეუძლია ამ მიმართებით.

აქ უკვე ითქვა იმაზე, რომ ქუთაისის თეატრის მხატ- ვრები ქმნიან შესაფერის გარემოს მსახიობების სამო- ქმედოდ, იგივე თქმის რეჟისორზეც. ჩემს მიერ ნანახ სპექტაკლებში ნათლად ჩანს, რომ რეჟისორი ძალზე ზუსტად იყენებს მხატვრის მიერ შეთავაზებულ შესა- ძლებლობებს. ეს განსაკუთრებით ეხება კომპოზიციას.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, პლასტიკური მხარე სპექტაკლებში სწორადაა გადაჭრილი. ყველაფერში იგ- რძნობა სისუსტე, დასრულებულობა, პარამონია, საინ- ტერესო რეჟისორული მიზანსკენები. მაგალითად, „ლა- ლატში“ საქმის ცოდნითაა გამოყენებული ჩაბნელებუ- ლი სკენები, გაძლიერებული პლასტიკობა, ვრცელი და ლამაზი ხაზები, შეჩერებული კადრები, რიტმის პლასტიკა, რეკვიზიტები, რაც მოწმობს პლასტიკური კუ- ლტურის, პლასტიკური მეტამორფოზის მაღალ დონეს. მიზანსკენების გადატანა იატაკზე, რასაც რეჟისორი ამ წარმოდგენაში მიმართავს, ქმნის საუბრის, ინტრიგის ატმოსფეროს სცენაზე. ყოველ დეტალში იგრძნობა თუ რა მრავალფეროვან ხერხებს იყენებს რეჟისორი მეტა- ფორების ჩამოსაქმრებად.

პლასტიკისა და ორგანული ურთიერთობის თვა- ლსაზრისით ქუთაისელთა სპექტაკლებში შეიმჩნევა ხა- რველები, კერძოდ, გარეგნული ნიშნების სიკარბე. წარ-

მოღვენი დასაწყისშივე, მთავარ გმირთან პირველი კონტაქტისას ძალიან დიდაა რეაქტია თვლით, ხელით, თავით. შესაძლოა, ეს ზუსტია, მაგრამ ორგანულად არ ზის სპექტაკლის ქსოვილზე, გამოვლილია.

დღეს სწავილ დღეს კომპოზიციის მიერ დატვირთილი პლასტიკური ფონის (ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები, რიტუალი, მანერები) დაცვის პრობლემა. ამ მხარე, ქართულებს მიღებული ისტორიული მასალა აქვთ. ქუთაისელთა მიერ ეს საქამო დიხში არ არის წარმო- დგენილი ეს მასალა, ვერ იქმნება შესატყვისი ეპოქა.

მუსიკასთან დამოკიდებულებაში მთავარია მსახიო- ბი. მუსიკა მსახიობიდან გამომდინარე ელერს, სხვათა- რიად დაბალ ტექნოლოგიურ კლასთან ვეეკუიბოდა სა- ქმე.

ჩემთვის გაუგებარია დარჩა მსახიობის დამოკიდებუ- ლება ნიღბისადმი („კორილანუსი“). თავად ნიღბზეც პლასტიკურად გაუმართლებელია. როცა წყდება „ყო- ფნა — არყოფნის“ საკითხი, ენერჯია უნდა მოჩქვედეს; სცენას ეს ამ დროს ავლია დინამიკა და ექსპრესიობა.

ჩემი შენიშვნები კერძო სახითისაა, მათი ვალდებუ- თეატრის დიდად დაესმარება წარმატებებისა და ძიებე- ბის გაზაზე. ვუსტრეებ ამ შესანიშნავ კოლექტივს შემ- დგომ სერიოზულ გამარჯვებებს.

თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ გულ- წრფელი მაღლობა ვადაუხადა განხილვის მიზანმიმართუ- ლად და აღნიშნა, რომ ეს გასტროლები მათა პირველი გამოსვლა ვართო ასპარეზე თბილისის შემდეგ და დიდი მოვლენაა თავად თეატრის ისტორიაში. ქართულ- მა თეატრმა უქანასნეულ ხანს დიდ წარმატებას მიაღწია, მისი პოპულარობა გასცადა შორს ჩვენი ქვეყნის ფარ- ვლებს. ეს საზოგადოება, ცოტა არ იყოს, გააშინებს კიდევ. — თქვა მან. — მაგრამ ჩვენ საკუთარი წონითი კატეგორიაა გაგვანჩია, მსოფლიოს ჩემპიონები ხომ ყველა წონით კატეგორიაში არიან? ჩვენ გარკვეული ხაზი ავირჩიეთ და გვიწოდდა მხოლოდ მისი ჩვენება მოსკოველი მაყუ- რებლისათვის. როგორ შეეძლოთ ეს — ამაზე დღეს სა- გამოად ითქვა. ჩვენი მისამართით გამოთქმული შენიშვნებს გაეთვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში და იმე- ლია, ჩვენი მომავალი შეხვედრისას, რა თქმა უნდა, არა 50 წლის შემდეგ, თქვენ უკვე ჩვენი შემოქმედების თა- ნავეტრობები უნებნით.

სასკ. კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ივანოვი- მა, შეაგამა და დისკუსია. გამოთქვა რწმენა, რომ ქუთა- ისელია შემოქმედებითი ანგარიში მოსკოვას თეატრა- ლურ ცხოვრებაში თავის გამოჩინად აღდგოს დაიჭერს. იგი შეეზო ქუთაისელთა სავსატროლო რეპრეტურის და აღნიშნა, როცა აფიშებზე ვკითხულობ ისეთ სახე- ლებს, როგორცაა შექსპირი, ოსტროვსკი, ლორკა, კლიაშვილი. სუბმათავილო-იფერინი, ეს უკვე თავის- თავად ბევრის შემქმელია, ამ სახელებთან ერთად გვაი- ნტერესებდა მათი სცენური ხორცშესხაკი. გვიანტერე- რებებდა კიდევ იმბოტებს, რომ ქუთაისის თეატრი ბევ- რისთვის — მოსკოველებისთვის, მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სტუმრებისათვის — ახალი თეატრია. ამიტომ ორმავედ სასიხარულოა ქუთაისელების მობოლიზება, ერთსულოვნება და მხატვრული დონე.

ხშირად ხდება ხოლმე — რევისორი მიივანებს სცენური განსაზიერების საინტერესო, გასალუბს, და შემდეგ მას არაგებს ყველა პიესას განურჩევლად, ამას ვერ ვიტყვით ჩვენი სტუმრების შემოქმედებაზე.

ყველა სპექტაკლი ქვეთარაძისეული დადგამა, ამიტომ ამ გასტროლებს სხვანაირად შეიძლება ვუწოდოთ: „ქვეთარაძის დღეები მოსკოვში“. გულწრფელად ვამბობ, რევისორის თვალსაზრისით ბევრი რამ საინტერესო ვნახე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რევისორის როლსა და მნიშვნელობას თანამედროვე თეატრში.

ქუთაისისა და მთელი ქართული თეატრისთვის ძალზე დამახასიათებელია ზრუნვა მსახიობზე, ეს სტანისლავსკის კანონია. რევისორი თავის აზრებსა და იდეებს მსახიობის საშუალებით გადმოგვცემს, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ზრუნვას.

შემდეგ გ. ივანოვი შეეხო მუსიკას ქუთაისელთა სპექტაკლებში, კერძოდ, რველის „ბოლეროს“ „დასახლებას“ „ბერნარდა ალბას სახლში“ და დასძინა, რომ ეს ესპანური მუსიკა ორგანულად შეერწყა სპექტაკლის სხვა კომპონენტებს.

პლასტიკის საკითხებზე გაიზიარა ა. დროზდინის მოსაზრებანი. ანსამბლურობის თვალსაზრისით გამოყო „შთამომავლობა“ და აღნიშნა, თეატრი სწორად მოიქცა ეს სპექტაკლი რომ ჩამოიტანაო. დრამატურგის მიერ ბიესაში წამოკრილი პრობლემა მწვავეა და მნიშვნელო-

ვანი, ამიტომ მაცუტრებელი დიდი ყურადღებით აღიქმნება თვალს სცენაზე მომხდარ ამბებს.

თეატრმა შემდგომად თამამად უნდა იმუშაოს მატურგებთან და შექმნას კიდევ უფრო მიმზიდველი რეპერტუარი.

„კორიოლანუსის“ შესახებ გ. ივანოვმა გაიზიარა ქვეთარაძის კონცეპცია. კერძოდ თქვა, რომ თეატრმა ძალიან საინტერესო ვერსია წარმოგვიდგინა. შესაძლოა, პიესა ბოლომდე გახსნილი არ არის და შემდეგში კიდევ გაჩნდეს მეორე, მესამე რედაქციები, მაგრამ თამამად ვიტყვი, სპექტაკლი ძალიან მნიშვნელოვანია და ყურადღებას იმსახურებს.

გამოყო რა კორიოლანუსის როლის შემსრულებელი მსახიობი ე. სვანაძე, დასძინა, რომ თეატრს თავისუფლად შეუძლია დადგას თანამედროვე პიესებიც და კლასიკურიც, ვინაიდან ძალიან კარგი, ძლიერი და თანამოაზრე კოლექტივი ჰყავს. ასეთ ხელმძღვანელსა და ასეთ დასს ბევრი რამ კარგის შექმნა ხელეწიფება. თეატრისათვის მომავლის საქმედ რჩება ზრუნვა ახალ-გაზრდობაზე, რომელიც ხვალ მოვა თეატრში. ეს ერთი ძალზე სერიოზულ საკითხთაგანია.

უთუოდ ყველა ჩვენგანის დიდ სურვილს გამოვთქვამ, თუ ახლო მომავალში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს მოსკოვში.

მასალა ლიტერატურულად დაამუშავა **ლამარა ელიოზიშვილი**

„ბერნარდა ალბას სახლში“ მონაწილეთა შეხვედრა ესპანეთის ელჩ პერინატთან





ჩემი გვერდებზეა სამეგრელოს

გიორგი ქავთარაძე

მბილინის გარე თეატრების მუშაობა არ შეიძლება განვიხილოთ და გავანალიზოთ საერთო მტკივნეული პრობლემის გარეშე. ესაა ხელოვნებისა და კულტურის ცერების საერთო რესპუბლიკური დონე, ხოლო რესპუბლიკური დონე თავისთავად უნდა პასუხობდეს მსოფლიო სტანდარტების დონეს. როცა რესპუბლიკის საერთო თეატრალურ დონეზე ვმსჯელობთ, ძირითადად, მხოლოდ დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებას ვეხებით. რატომ? ამ კითხვაზე ძალზე კომპლექსური პასუხი იქნება გასაცემი და მისი მოკლედ ფორმულირება გაჭირდება.

დავიწყოთ იმით, რა უნდა ვუპასუხოთ ჩვენ, ევროპულად აღზრდილი პერიფერიის თეატრის ხელმძღვანელებმა კითხვას გამოცალკევებულად.

რა ვაწუხებთო, როცა გვეკითხებიან, მე ვიცი, რომ მე პირადად ის მაწუხებს, რაც აწუხებს მთლიანად ქართულ თეატრს. და ვანაცოტა მტკივნეული პრობლემები რეჟისორის, მსახიობის ოსტატობის, დრამატურგიის, თეატრის ტექნიკური აღჭურვილობისა და ტექნიკური ბაზის სფეროში და კიდევ ბევრი რამ.

მე ვიცი, რომ არსებობს კარგი და ცუდი თეატრი, კარგი და ცუდი მსახიობი. სად იქნება ეს, ჩემთვის სულ ერთია, ვინაიდან მე პირადად დიდად არ ვანვიციდი, რომ ყოველდღე თეთრ ხელსა ან გაჭვინტის ვადვილივარ ვერის ან მუხრანის ხილს მაგვიტარ. ვაჟს, თქმისა არ იყოს, ააქაც ხომ ქართველები ვართ? ყველაზე მეტად მე ის მაწუხებს, რომ როცა თბილისში ჩამოვიდ-

ვარ, მეკითხებიან, როდის გადმოდიხარ უკან, დედაქალაქს როდის დაუბრუნდებიო. ასე იყო თბილისიდან ორი-სამი წლის წასვლის შემდეგ და ასეა ახლაც, როცა მოსკოვის გასტროლებიდან წარმატებულნი დაბრუნდები. ვაჟა ჩვენნი საზოგადოების დამოკიდებულეება, ამას კი ვერც მთავრობის დადგენილება შეცვლის და ვერც ადგილობრივი ხელმძღვანელების გაძლიერებელი ზრუნვა თეატრებისადმი, ვინაიდან „პროვინცილობა“ მხოლოდ პროვინციაში კი არ არის, არამედ ევროპულად აღზრდილი „თბილისელთა“ დამოკიდებულებაშიც პერიფერიის ხელოვნებისადმი. ვაჩხუნებთ ვანო ყუშიტაშვილის ცნობილი ხუმრობა, როცა უთხობს, რა გინდა, ბატონო ვასო, ამ პროვინციაში, ზუგდიდში რა გაძლებინებთო, მან უპასუხა — ჩემთვის პარიზის შემდეგ თბილისიც პროვინციააო. ეს არ იყო გესლიანად ნათქვამი, რადგან ამ ამერიკა-ევროპა მოვლილმა კაცმა თბილისის გარეთ დაამთავრა თავისი მოღვაწეობა და პატრიოტიზმი სხვა ქართველებზე მეტად დაამტკიცა საქართველოს თითქმის ყველა თეატრში მუშაობით. შრომობდა და ცდილობდა საერთო კულტურული დონის ამაღლებას. ისეთი დიდი მოვლევა, როგორც იყო იმედგაშეობი, სხვა მსახიობთან შედარებით, ადრე მიეცა დავიწყებას. ტყაბლაძე და ბურთუთაშვილი, ჩემის აზრით, უმაღლესი რანგის მსახიობები იყვნენ, მაგრამ მათ ცხოვრებაში აცლდათ არა მარტო ყურადღება, არამედ სწორი დამოკიდებულება, როგორცაც მათი შემოქმედება იმსახურებდა. ეს არის პატრი-

ოტულ-მოქალაქეობა, შემოქმედებითი-გალობრივი აზრი და ჩვენს გვერდზე დება, რომ საზოგადოებას თვითუფლები ჩვენთანავე შეადგენს.

მე ერთი რამ ვიცი, — ჩემი მიზანია კარგი თეატრის შექმნა. არა მგონია რ. სტურუასა და თ. ჩხეიძეს სხვა მიზნები ამოძრავებდეთ. ერისთავის არაფერი ტრავადა არ იქნება, თუ ერთ პერიოდში ქუთაისის თეატრი იქნება წამყვანი, ან ბათუმის თოჯინების თეატრი, ან სოხუმის სიმფონიური ორკესტრი. ეს მოხლოდ ერის საერთო მაღალ კულტურაზე მეტყველებს. თუ ზენით ნათქვამი დამოკიდებულება შეიცვლება, უფრო ფრთხილად მოეკიდებიან თეატრის ხელმძღვანელებად ზოგიერთების დანიშვნას.

საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საქალაქო და რაიონული თეატრების შესახებ სასჯებით სწორადაა მითითებული, რომ პარიზის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა თეატრებისადმი ხელმძღვანელობისათვის, გააძლიერონ მათი პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლი.

იმავ დღეებში მართებულადაა დასმული თეატრების პროფესიული კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, რომლებზეც მთავრობამ სხუთ წლის განმავლობაში ფული დახარჯა, დედაქალაქის თეატრში მუშაობაზე არ უნდა მუშაობდნენ, მაშინ, როცა საქართველოს სხვა თეატრები კადრების ნაკლებობას განიცდიან. ვიმოხრებ, თუ ეს დამოკიდებულება შეიცვლება. ყოველი უღიმღამო სეზონი ქუთაისში, თელავში ან ბათუმში გახდება საზოგადოებისა და ხელმძღვანელობის მკაცრი მსჯელობის საგანი, ყველა დაინახავს, რომ ამ თეატრებზეც ისევე შესტყვევთ გული საქართველოში, როგორც რუსთაველისა და მარჩანინშვილის თეატრებზე.

სივფონიური ორკესტრების პირველი რესპუბლიკური ღათვალისწინება



ალგავლოვის გზის მიღწევაში და ხარკუვაში

ბოლო დროს სულ უფრო მეტად იზრდება მუსიკირების პროფესიული ფორმების გავრცელებისა და დამკვიდრების არც. ამ პროცესს სათავე უდევს აღზრდელით სისტემაში, რომელშიც წარმოვა მუსიკალური განათლების ფართო ქსელი და შექმნა პირობები სხვადასხვა პროფილის მუსიკოს-შემსრულებელთა მომზადებისა და ახალი შემოქმედებითი კერების დაარსებისათვის. ამაზე შეაღსანიონო მეტაველებს ისეთი მზარდი და პერსპექტიული შემოქმედებითი კოლექტივები, როგორცაა ქუთაისის საოპერო თეატრი და გორის საოპერო სტუდია, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში ჩამოყალიბებული სიმფონიური ორკესტრები და სხვადასხვა შემადგენლობის კამერული (ინსტრუმენტული და ვოკალური) ანსამბლები, გორისა და თელავის მუსიკალური სასწავლებლების საგუნდო კაპელეზი. ეს კოლექტივები თავიანთი პროპაგანდისტული მიზანმიმართული უფრო მეტად ხელს ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, მათ ჩართვას ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების გაძლიერების, გამარჯვებულნი და განვითარების პროცესში.

ამ პროცესის გაძლიერების მიზნით 24-28 ივნისს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისში ჩატარდა სიმფონიური ორკესტრების პირველი რესპუბლიკური დათვალისწინება, მიმდინარე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი. ამ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიების ამოცანას წარმოადგენდა სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის სიმფონიური ორკესტრების შემოქმედებითი მდგომარეობის შესწავლა-შემოწმება. დათვალისწინების ეთურის დაივალა წარმოჩენა იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც ახრკოლებენ ამ კოლექტივების წინსვლას, ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცენტრებში კლასიკური და თანამედროვე სიმფონიური მუსიკის მაღალ დონეზე პროპაგანდას.

ვებქდავო სიმფონიური ორკესტრების პირველი რესპუბლიკური დათვალისწინების ეთურის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ოდესი დიმიტრიადისა და ეთურის წევრის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატ ანტონ წულუაძის შთაბეჭდილებებს.

სივფონიური ორკესტრების პირველმა რესპუბლიკურმა დათვალისწინებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის სიმფონიური ორკესტრები, საშუალება მოგვცა გავცნობოდით ამ კოლექტივების რთული და დაძაბული მუშაობის შედეგებს.

ყველაზე უფრო სრულყოფილი შთაბეჭდილება დასტოვა სოხუმის სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელშიც წარმატებით შეასრულა საინტერესო პროგრამა — ო. თაქთაქიშვილის II სიმფონია, დ. შოსტაკოვიჩის I სიმფონია, აფხაზი კომპოზიტორების რ. გუმბას და ვ. ჭკალუას საორკესტრო ნაწარმოებები, არიები ვერდის, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ფალიაშვილის ოპერებიდან.

სოხუმის სიმფონიურ ორკესტრში დამყარებულია შემოქმედებითი დისციპლინა, მუსიკოსები უტრავენ გატაცებით, შთანთხმებულად. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს ორკესტრის წყობა, რისთვისაც, პირველ რიგში, აუცილებელია კოლექტივის უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის ინსტრუმენტებით.

სოხუმის სიმფონიურ ორკესტრში, ადგილობრივ ინსტრუმენტალისტებთან ერთად, უტრავენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან მრჩეველი მუსიკოსები. ესენი არ-

იან ნამდვილი პროფესიონალები, რომლებიც ხელს უწყობენ კოლექტივის შემოქმედებით ზრდას, საორკესტრო გამოსახველობის გამდიდრებასა და გამარავალფეროვნებას.

სოფემის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, სერობული მუსიკოსი და აქტიური ორგანიზატორი ლ. ჭერგენია ზრუნავს როგორც შემოქმედებითი ხარისხის, ისე სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. მისი მეცადინეობით სოხუმის სიმფონიური ორკესტრი სისტემატურ წევრისა განიჭობს, რაც პროფესიული დონის აღმავლობას იწვევს. კარგად მუშაობს ორკესტრის მეორე დირიჟორი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ა. ხაგაძე, რომელიც მზარდ მუსიკოსად წარმოგვიდგა.

ბათუმის სიმფონიური ორკესტრი დათვალიერებაზე წარადგა ცნობილი ესტონელი დირიჟორის რ. მატსიგის ხელმძღვანელობით. რ. მატსიგმა მოკლე დროში საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია. ამას მოწმობს ბათუმის სიმფონიური ორკესტრის მიერ შთაბეჭდილად შესრულებული ჰენდლის „კონჩერტო გროსო“, რომელიც სუფთად, სტილის შეგრძნებით აღვივდა. თვალსაჩინო სიახლეს წარმოადგენდა ბათუმის მცირერიცხოვანი საუნდო კაბლის მიერ მოცარტის უცნობი მისის შესრულება. ამ კაბელს სერობული დახმარება სჭირდება — იგი უნდა შევიდოს პროფესიონალი მომღვანელებით.

ბათუმის სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარში შეტანილი იყო ჩაიკოვსკის უეერატურა „1812 წელი“. ზემოთ აღნიშნული საკონცერტო პროგრამიდანაც ჩანს, რომ დირიჟორ მატსიგს რეპერტუარში შეაქვს სხვადასხვა ენარისა და სტილის ნაწარმოებები. როგორც ჩანს, იგი შემოქმედებითი აქტივობის გაფართოების გზით ცდილობს ორკესტრის ტექნიკურ-მხატვრული დონის ამაღლებას. მაგრამ ეს გზა ყველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, ანუ მაგალითად, ჩაიკოვსკის მომენტანმა პიესამ „1812 წელი“ მკვეთრად წარმოაჩინა ორკესტრის ხარვეზები — არასრული შემადგენლობის სიმებიანმა ჯგუფმა ვერ დასძლია პარტიტურის ტემბრალურ-აუსტიკული თავისებურებანი, სუსტი საშემსრულებლო ტექნიკა გამოავლინა სასულე საკრავთა ჯგუფებიც.

ბათუმის სიმფონიური ორკესტრის ზრდას აბრკოლებს მრავალი მიზეზი — კოლექტივი განიცდის კვალიფიკირებული შემსრულებლებისა და მძალხარისხოვანი ინსტრუმენტების ნაკლებობას, არა აქვს არც სარეპერტიკო დარბაზი და არც სათანადო დირიჟორი, რომელიც უნდა წარმართავდეს კო-

ლექტივის სისტემატურ წევრისა. საქმეს ვერ უშველის დირიჟორ მატსიგის ძალზე სასარგებლო, მაგრამ მოკლევადიანი ვიზიტები.

დათვალიერებაზე საფუძვლიანი ნამუშევარი გამოიტანა ქუთაისის სიმფონიურმა ორკესტრმა, რაც წარმოადგენს დირიჟორ რევაზ ხურცილავას დამსახურებას. ამას მოწმობს, პირველ რიგში, ბეთჰოვენის V საფორტეპიანო კონცერტის საორკესტრო თანხლება, რომელიც ორკესტრმა გააზრებულად, გიტაცებით შესარულა. რ. ხურცილავამ კარგი პარტნიორობა გაუწია უაღრესად ნიჭიერ პიანისტს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს ბ. ბეტრუშანსკის, ამიტომაც ბეთჰოვენის V საფორტეპიანო კონცერტის შესრულება ანსამბლური კულტურით იყო აღბეჭდილი.

რომანტიკული მღელვარებით შთაბრუნა ქუთაისის სიმფონიურმა ორკესტრმა დეორაკის IX სიმფონია, მაგრამ, სწორედ ამ ნაწარმოებმა წარმოაჩინა კოლექტივისათვის დამახასიათებელი სერობული ხარვეზები — საკმაოდ ხშირად სცოდავდნენ სასულე ჯგუფის სოლისტები. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის წამყვანი მსახიობებდ ნაკლებად ზუსტად თავიანთ პროფესიულ ფორმაზე. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც არის, რომ ეს მუსიკოსები ქუთაისის საოპერო თეატრის ორკესტრშიც უკრავენ. მათ უპირთ ამ რთული შემოქმედებითი ფუნქციების შენაცვლება, არ ჰყოფნით დრო მუსიკალური პარტიების საფუძვლიანი შესწავლისათვის. ეს არ ეხება ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმეისტერს, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის რთულ შემოქმედებით მისიას.

ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრსაც აქვს თავისი პრობლემები, იგი ასევე განიცდის დეფიციტური ინსტრუმენტებისა და სანოტო მასალის ნაკლებობას.

სიმფონიური ორკესტრების პირველი რესპუბლიკური დათვალიერება მალღ დონეზე ჩატარდა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი დონის-სიების ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის ხელმძღვანელობამ. სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის სიმფონიური ორკესტრების კონცერტები იმართებოდა მსმენელთა სასე დარბაზში, რამაც განაპირობა შემოქმედებითი ატმოსფეროს დამკვიდრება.

სასურველია, რომ ეს საინტერესო და სასარგებლო წამოწყება მომავალშიც გაგრძელდეს, ტრადიციად იქცეს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სიმფონიური მუსიკის პროგრესს.

მოდინი ღიმიბრიადი

იდუმალეობითა და სხივმოსილებით შესრულდა, პირველად საქართველოში (შესაძლოა საბჭოთა კავშირში), მოცარტის ერთი უკანასკნელი მესა. აჭარის ასსრ სახელმწიფო კაბელა თავისი მცირე შემადგენლობით (უმეტესად თვიომომედებიდან მოსული, დაუმუშავებელი ხმებით) მწყობრად, სუფთად, სახამოვნედ მღეროდა.

მეორე განყოფილებაში შესრულდა ჩაიკოვსკის უფერტურა „1812 წელი“, რომელიც დაწერილია ძალზე დიდი, გაფართოებული შემადგენლობის ორკესტრისათვის. ამ პიესის გადმოსაცემად ბათუმის ორკესტრს არ გაჩანია შესატყვისი შემადგენლობა, ამიტომაც მივიღეთ გაცილებით უფრო ნაკლები შთაბეჭდილება, ვიდრე ჰენდელისა და მოცარტის ნაწარმოებთა შესრულებისაგან.

ორკესტრის შემადგენლობას სჭირდება გამაგრება — სტაბილიზება, ძალიან სასურველია ამ კოლექტივთან დირიჟორ მატსოვის მუშაობის გაგრძელება.

სოხუმის სიმფონიური ორკესტრი დათვლიერებაზე წარმოდგენილ კოლექტივებს შორის ყველაზე გამოცდილი, მას ეტყობა კიდევ ხანგრძლივი მუშაობის კვალი, მიუხედავად იმისა, რომ წლები მანძილზე ორკესტრი არათანაბარ, არასტაბილურ პირობებში მუშაობდა. ამჟამად სოხუმის სიმფონიურ ორკესტრს სათავეში უდგას მისი პირველი დირიჟორი, გამოცდილი პროფესიონალი ლ. ჯერგენია, რომელმაც იცის ორკესტრთან მეთოდური მუშაობის წესები, თანმიმდევრულად, პარმონიულად აფართოვებს მის რეპერტუარს, რითაც ხელს უწყობს ორკესტრის პროფესიულ ზრდას. მასთან ერთად მუშაობს ორკესტრის მეორე დირიჟორი ა. ხაგბა, მათი შთანხმებული მუშაობის შედეგად ორკესტრი ჩამოყალიბდა. დღეს იგი ერთ-ერთი მთავარი და საიმედო ბაზა აფხაზეთის მუსიკალური კულტურის სწორი განვითარებისათვის.

დათვლიერებაზე სოხუმის სიმფონიური ორკესტრი იმდენად დიდი და მრავალმხრივი რეპერტუარით წარსდგა, რომ ფიურის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, რომელიც დროგამოშვებით კონსულტაციებსაც უწევს სოხუმის და ქუთაისის ორკესტრებს, იძულებული გახდა შეემცირებინა საკონცერტო პროგრამა.

ორკესტრმა ლ. ჯერგენიას ხელმძღვანელობით მწყობრად და ენერგიულად შეასრულა ო. თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია. განსაკუთრებით კარგად ჟღერდა სი-

სწომის, ბათუმისა და ქუთაისის სიმფონიური ორკესტრების პირველი რესპუბლიკური დათვლიერების საერთო დონემ უდავოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, ამ კოლექტივების შემოქმედებით სტაფში მეტ-ნაკლები განსხვავებაა, მაგრამ მათი პროფესიული მდგომარეობა დაახლოებით თანაბარია. იანნი უძლებენ ურთიერთშორის მეტობრულ შეჯიბრებას.

ბათუმის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც დათვლიერებაზე წარმოდგენილ კოლექტივებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა, ჩამოყალიბდა დირიჟორ გიორგი გოცირიძის ხელმძღვანელობით და თავიდანვე მოსაწინი თვისებები გამოაჩინა. გ. გოცირიძის წასვლისთანავე საგრძობლად შეირყა ორკესტრის ორგანიზაციული მხარე, რამაც მის მხატვრულ დონეზეც იქონია მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ამჟერად ორკესტრის მხატვრულ კონსულტანტად მოწვეულია ცნობილი საბჭოთა დირიჟორი, ესტონეთის სსრ სახალხო არტისტი რ. მატსოვი, რომლის გამოცდილების კვალი ამ ახალგაზრდა კოლექტივს აშკარად დაეტყო, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ორკესტრის შემადგენლობა სათანადოდ ვერ არის შეესებული. ეს ითქმის განსაკუთრებით სიმებიან ჯგუფზე, სადაც ჩელოზე დამკვერელი მხოლოდ ორია.

დიდი სიამოვნება მოგვგვარა ჰენდელის „კონჩერტო გროსო“ და მოცარტის ერთ-ერთი უკანასკნელი მესის აკადემიური სიმპაცირით ალბეტდილმა შესრულებამ. ეს არ იყო მარტოდონ პუნქტუალური, ე. წ. „სამუზეუმო“ აკადემიურობა. ორივე ქმნილების შესრულებაში საგრძობი იყო ამაღლებული განწყობილება და შთაგონება, რაც დახვეწილი მუსიკისის, დიდად გრუდიერებული პროფესიონალის, დირიჟორ რ. მატსოვის დამსახურებას წარმოადგენს. ჰენდელის „კონჩერტო გროსოში“ რ. მატსოვი არა მარტო დირიჟორობდა, არამედ კლასიკური ინსტრუმენტული მუსიციერების ტრადიციისაებერ, ჩემბალოზეც უკრავდა. ჩემბალოს ბაგერს რ. მატსოვი მკვეთრ, მასირებულ ჟღერადობას აძლევდა, ასევე მკვეთრად და ენერგიულად გამოჰყოფდა რიტმს. მთავარი კის არის, რომ დირიჟორობა, თითქმის ამავე მხატვრულ ხარისხში აიყენა კამერული შემადგენლობის ორკესტრი.

მშვენიერად, მოცარტული დიდებული

მღონის პირველი ნაწილი. შესრულებულ
ქანა აფხაზი კომპოზიტორების რ. გუმბა-
სა და ვ. ჭკადუას სიმფონიური ნაწარმოე-
ბები. კონცერტში წარმატებით მიიღეს მო-
წინაწილობა აფხაზმა მომღერლებმა. გან-
საკუთრებით აღსანიშნავია ბ. ამირანა
და ტ. კოკოსვირიას მიერ ქართულ ენაზე
შესრულებული აბესლომისა და მურმა-
ნის დუეტი.

ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი ახ-
ლახან ჩამოყალიბდა, მაგრამ არსებითად
მის შემადგენლობაში არიან ქუთაისის სა-
ოპერო თეატრის ორკესტრის მუსიკოსები.
ამდენად, ამ კოლექტივის უკვე გააჩნდა სა-
კმაო გამოცდილება, როცა თავის საქმიან-
ობას შეუდგა. ქუთაისის სიმფონიურ
ორკესტრიან გამორიან ჩვენი ქვეყნის გა-
მორჩენილი ინსტრუმენტალისტები, მათ
შორის საერთაშორისო კონკურსების და-
ურეაგები ლიანა ისაკაძე და ლექსო თო-
რაძე, რომელთა კონცერტებს მეტად დი-
დი რეზონანსი ჰქონდა.

დათვალერებზე ქუთაისის სიმფონიურ
ორკესტრთან დაუკრა გამორჩენილმა საბ-
ჭოთა პიანისტმა, საერთაშორისო კონკუ-
რსების ლაურეატმა ბ. პეტრუშანსკიმ, რო-
მელმაც შეასრულა ბეთჰოვენის მეცხთე
საფორტეპიანო კონცერტი. ორკესტრმა
დირიჟორ რ. ხურცილავას ხელმძღვანელო-
ბით სანიმუშო კონტაქტი დაამყარა პია-
ნისტთან, მიღწეულ იქნა სრული ურთი-
ერთგაგება და შედეგით ეფექტური აღმოჩ-
ნდა. წარმატება დიდი იყო. ამავე კონცე-
რტზე შესრულდა დვორჟაკის მეცხრე („ახ-
ალი სამყარო“) სიმფონია. ტექნიკურად
დამაკმაყოფილებელ შესრულებასთან ერ-
თად შესამჩნევი იყო დეფექტები სასულე
(განსაკუთრებით ხის) ჯგუფში. კარგად
შესრულდა რ. ლალიძის „საჭიდაო“.

ქუთაისის ორკესტრს სათავეში უდგას
ენერგიული, შრომისმოყვარე დირიჟორი
რ. ხურცილავა, მასთან ერთად მუშაობენ
გამოცდილი საოპერო დირიჟორი, შესანიშ-
ნავი მუსიკოსი თ. კობახიძე, აგრეთვე
ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი თ. ჭუმ-
ბურიძე. მხარდასაჭერია ორკესტრის ხე-
ლმძღვანელების მიერ დანერგული პრაქ-
ტიკა ცნობილი საბჭოთა შემსრულებლე-
ბის მოწვევისა. ეს დიდ სტიმულს აძლევს
თვით ორკესტრს, ხელს უწყობს მის
ზრდას და მუსიკისმოყვარული საზოგა-
დოების დაინტერესებასაც იწვევს.

სიმფონიური ორკესტრების დათვალეი-
რებას სისტემატური ხასიათი უნდა მიე-
ცეს და მორიგებით გაიმართოს სამივე
ქალაქში.

ქართულ ხელოვნებაში უნა ~~წარმატებულ~~
ფიგურაა, ვის შემოქმედებასა და საზოგადო-
ებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავ-
შირებულია ეროვნული მხატვრობის განუხ-
რელი აღმავლობა, მისი წარმართვა რეალი-
ზმის მაღალი პრინციპებით, მხატვართა მთე-
ლი თაობების აღზრდა და დაოსტატება.
დღეს იგი, 75 წლის ღვაწლმოსილი ხელოვა-
ნი — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი,
სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვი-
ლი წევრი, სსკ სხელმწიფო პრემიის ლაუ-
რეატი კვლავაც შთაგონებით და ენთუზიაზ-
მით განაგრძობს შემოქმედებით და პედაგო-
გიურ მოღვაწეობას. ორმოც წელზე მეტია
იგი უწყველად ხელმძღვანელობს თბილისის
სხელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწე-
რის კათედრას. მრავალი წლის მანძილზე სა-
თავეში ედგა საქართველოს მხატვართა კავ-
შირის საქმიანობას, იყო სამხატვრო აკადე-
მიის რექტორი, სამგზის იყო არჩეული საქ-
ართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად...
უაღრესად დიდია უნა ჭაფარიძის ავტორი-
ტეტი, როგორც ხელოვანისა და პედაგოგის,
საზოგადოებრივი მოღვაწისა და მოქალაქის,
პიროვნული თვისებებით გამორჩეული ზღა-
მიანისა. ეს თვისებები თვალნათლივ გლინ-
დება მის ხელოვნებაში, ყოველ მის დიდსა
თუ მცირე მასშტაბის ნაშთშეგარამში — ღრმა
იდუური ჩანაფიქრის შემცველ ტილოსა თუ
უპირეტენზიო ჩანახატში. დიდი მხატვრული
სიმართლე და გულწრფელობა, მაღალი და
თვითმყოფადი ოსახიური ოსტატება უღვევს
საფუძვლად ხელოვანის შემოქმედებას, რო-
მელიც ესოდენ ფართოა თავისი დიაპაზო-
ნით — მოიცავს სხვადასხვა ანრსა და სა-
ხეობას, გამოხატვის სხვადასხვა საშუალე-
ბებს, საყოველთაოდ ცნობილია მხატვრის
მონუმენტური და დაზვეული ტილოები, მისი
ბრწყინვალე ფერწერული და გრაფიკული
პორტრეტული შემოქმედება, ეროვნული
სლული აღბეჭდილი მთელი ვრცელი შემო-
ქმედებითი მემკვიდრეობა.

რაქის ლამაზი სოცლის დეპუტატს მშობ-
ლიური მხარის მშვენიერებამ ადრევე გაულ-
ცია შემოქმედების წყურვილი. თავისი კუთ-
ხის ბუნება და ხალხი უნა ჭაფარიძის — და-
მწყვეტი მხატვრის შთაგონება იქცა. პირვე-
ლი აღიარება კი მას პორტრეტულმა ნაშთ-
შეგარამმა მოუტანა. ეს გახლდათ თვრამეტი
წლის ჰაბუკის მიერ ფანქრით შესრულებუ-
ლი დავით კლდიაშვილის პორტრეტი, რო-
მელიც 1924 წლის ეურნალ „თეატრსა და
ცხოვრებაში“ დაიბეჭდა. ამ პორტრეტმა თი-
თქის დასაბამი მისცა მომავალი ოსტატის

უჩა

ჯაფარიძე—75



ავტოპორტრეტი

ლეილა თაბუკაშვილი

შესანიშნავ პორტრეტულ გალერეას, გზა გაველა ფართო ინტერესების მქონე ხელოვნანის შემოქმედებაში ჟანრისადმი, რომელსაც შემდგომში, უკვე პროფესიონალი მხატვარი, ესოდენი წარმატებით დაეუფლა. ღრმა სიყვარულითა და შთაგონებით, ადამიანის სულში წვდომით — საღებავებითა თუ ფანქრით, კონკრეტულად—განუყოფადელი მეორე სიცოცხლე შესძინა თავის თანამედროვეთ თუ ისტორიულ პიროვნებებს. უშანგი ჩხეიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, დედის პორტრეტი (სხვა მრავალ პორტრეტზეც რომ არაფერი ვთქვათ) — ეს რამდენიმე ნამუშევარიც კი ნათელყოფს უჩა ჯაფარიძის მაღალ პორტრეტულ ხელოვნებას.

ამა თუ იმ შემოქმედის ჩამოყალიბების, მისი ძიებების გზაზე არის ხოლმე წინააღმდეგობები, წარუმატებელი ცდები, სწორად არაგულწრფელობასა და თვითმიზნურ ზერელობას რომ მოსდევს. შედეგად — ყალბი ფორმათქმნაობა, აზრისა და ცხოვრებისეული ემოციისაგან დაცილი „სანახაობრიობა“, ცრუმხატვრობა, რის მაგალითები დღესაც იშვიათად როდი გვხვდება ახალგაზრდა თუ არცთუ ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში. უჩა ჯაფარიძის ხე-

ლოვნება ამ მხრივ ჰარმონიული მთლიანობით, ერთიანი მიმართულებით, ერთიანი მიზანსწრაფვით გამოირჩევა. ეს ის მიზანსწრაფვაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ღრმა სიმაართლე და გულწრფელობა, მყარი რეალისტური მსოფლმხედველობა. უჩა ჯაფარიძის მხატვრული აზროვნებისა და სახვითი ოსტატობის თვითმყოფადობასა და თავისებურებას შემოქმედის სწორედ ეს შინაგანი მრწამსი განაპირობებს.

თანამედროვე სინამდვილე ასულდგმულედა და ასულდგმულეს უჩა ჯაფარიძის შთაგონებასა და წარმოსახვას, განაგებს მის ფაქიზსა და მაღალ გამომსახველობით კულტურას, ოსტატობას.

თუ ვადავაგვებთ თვალს მხატვრის მემკვიდრეობას, ნაწარმოებთა სიუხვესა და მრავალფეროვნებაში განსაკუთრებით გამოიყოფა რიგი ქმნილებებისა, რომლებშიც სრულყოფილ გამოვლენას პოუვებს მისი პროფესიული ინდივიდუალობა, იდეურ-თემამატური ინტერესები.

ქართული ყოფა, ბუნება, ადამიანი — შემოქმედებითი უჩის დასაწყისიდანვე მხატვარი გატაცებით უტრიალებს ამ თემებს, რომლებიც იხსენება, ხორცს ისხამს ხან რომანტიკული სიმშვილით აღსავსე, ხანაც ფიქრია-



ღედის ფიქრები

შაბტვარ ნანა ცინცაძის პორტრეტი

ნალია

ნატურმორტი

სალამო






ნი იდუმალეზით მოცულ მხატვრულ სახეებში. ცხოვრების ჩვეულებრივი, ყოველდღიური მომენტები, ადამიანთა ურთიერთობა, მათი გარემო-პეიზაჟები, საზრუნავი და საფიქრალი, სიხარული და ტკივილი — ყოველივე ეს უჩა ჯაფარიძის მიერ ასახულია სხვა ქართველ მხატვართაგან სრულიად გამორჩეული ინტონაციით, სახეობრივი წყობით, განწყობილებით. განწყობილების გარეშე კი თითქმის არ არსებობს ჯაფარიძისეული თუნდაც უბრალო ჩანახატიც კი, იქნება ეს პორტრეტული თუ ყოფითი ჩანახატი. პეიზაჟური მოტივი თუ ნატურმორტი. მხატვარს უყვარს, აღლევებს ყოველივე, რაც მის ირგვლივია. მას სურს ჩაწვდეს, გაუგოს თითოეული მისი პერსონაჟის ადამიანურ სამყაროს, გახსნას და გამოხატოს ადამიანური სულის მოძრაობის უსასრულო მრავალგვარობა, რომელსაც აერთიანებს მხოლოდ ერთი რამ — ის, რაც ეროვნულ იერში, ეროვნულ კოლორიტში იჩენს თავს. სწორედ ეს ქართული სურნელება, ასე ღრმად შეგრძნობილი მხატვრის მიერ, ანიჭებს უჩა ჯაფარიძის ყოველ ფერწერულ თუ გრაფიკულ ნაწარმოებს განსაკუთრებულ სიბრძნის და მომხიბვლელობას, მშობლიურობის, მახლობლის შეცნობით აღძრულ სიხარულს. მისი ტილოების პერსონაჟები ქართული მიწის მკვიდრნი არიან, სულერობა, რომელი კუთხის მიწაწყალზე დაიბიჯებენ ისინი — რაკისა თუ თუშეთის, იმერეთისა თუ ხევსურეთის მიდამოებში... ისინი შრომობენ, გულითადად

ესაუბრებიან ერთმანეთს, ფიქრობენ, ზრუნავენ, ისვენებენ, ოცნებობენ...

ადამიანების ეს შინაგანი ცხოვრება, მათი ყოველდღიური ყოფა მხატვარს გამოხატული აქვს, ჩვეულებრივ, ერთი შეხედვით, პროზაულ სცენებში, მაგრამ ამ ყოფით-პროზაულს იგი უმზერს რომანტიკოსის თვალით, რამდენადაც მასში ზედავს ცხოვრების შინაარსს, სიკაცხლისადმი სწრაფვას და სიკაცხლის სიყვარულს.

ქართული სინამდვილის — თანამედროვეობისა თუ ახლო წარსულის ამსახველ ტილოებს შორის განსაკუთრებული ელერადობის ძალისაა ჭალის — მშრომლის, ჭალის — დედის თემა. უჩა ჯაფარიძისეული თემა დედობისა სილოდება კონკრეტულობას და ფართო განზოგადებას იძენს: იგი უცავეზირდება დედა-სამშობლოს, მშობლიური მიწის სიყვარულს. ღრმა და ფაქიზი ფსიქოლოგიური წვდომა, რასაც ამ სახეების ხატვისას ავლენს შემოქმედი, ღრმა და ფაქიზი ქართული სულის შეგრძნება, რაც განუყოფრებელ ეროვნულ სახიერებას ანიჭებს მხატვრის ტილოების პერსონაჟებს თუ გრაფიკულ ნამუშევრებს. გაეცხსნოთ მისი ღილი ტილოები — „დედა“, „დედის ფიქრები“, ფანჭრით შესრულებული „დედის პორტრეტი“...

ქართულ მხატვრობაში, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებული ღირებულებისაა უჩა ჯაფარიძის პორტრეტული ხელოვნება. ეს ის ქმნილებებია, რომლებშიც ღრმად მართალი



კახეთის გზაზე

მარტობა



და პოეტურად განზოგადებული წარმოსახვა
 ჰოვია ჩვენი თანამედროვეობის სახეებმა თუ
 ისტორიულმა პიროვნებებმა. ფერწერაში
 გრაფიკაში მგზნებარე სიციცხლე შეიძინეს
 დიდი ქართველი არტისტების, დიდი მგოს-
 ნების, მოღვაწეების სახეებმა.

ხელოვანის ფართო შემოქმედებით დიაპა-
 ზონს ცხადყოფს უჩა ჯაფარიძის ნამუშევრე-
 ბი მონუმენტური ფერწერის დარგში; მისი
 ადრინდელი „საპირველამისო დემონსტრა-
 ცია თბილისში 1901 წელს“ და საკომლექსუ-
 რნო სოფლის დღევანდლობის ამსახველი
 ტილო, რომლებიც მარქს-ენგელს-ლენინის
 ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის
 სხდომათა დარბაზს ამშვენებს.

უჩა ჯაფარიძის ბოლოდროინდელ ახალ
 ნამუშევრებში კვლავ მომზიბლავ იდილიურ
 სურათებად აღიბეჭდება მშობლიური კუთ-
 ხეების ყოველდღიურობა. ამოუწურავია
 მხატვრული მოტივები, რომელიც შემოქმედს
 ტილოებსა და ქალაღზე გადაქცეს, და
 ეს აღტაცება, ეს ტაბობა გარემო-ბუნების
 მშვენიერებით, უჩასეული თვალით დანახუ-
 ლი მშვენიერებით. არ შეიძლება მაყურებ-
 ლს არ გადაეცეს. „კახეთის გზაზე“, „სა-
 ღამო“ სოფლის ცხოვრების სრულიად ჩვეუ-
 ლებრივი სცენებია, მაგრამ მათში ჩაქსოვი-
 ლი პოეტური აზრით, უბრალოების კეთილ-
 შობილური სილამაზის შეგრძნებით, ეროვ-
 ნული ზასიათის სახიერი ხორცშესხმით ეს
 სცენები სურათოვნების შთამბეჭდავ ძალას
 შეიცავენ, მაყურებელს აზიარებენ ცხოვრე-
 ბის მაღსიცივას. აგრძნობინებენ ადამიანის
 საარსებო ფუსფუსს. გულთბილი განწყობი-
 ლებითა და სიყვარულით აღსავსე ამ სცენე-
 ზში უჩა ჯაფარიძე გვეჩვივნება პეიზაჟის დი-
 დოსტატადაც, ისევე როგორც მის ადრინ-
 დელ მრავალ ეანრულ თუ პეიზაჟურ ქმნი-
 ლებებში. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მხატ-
 ვრისეული ბუნების სურათები, ასევე, მკა-
 ფიოდ გამორჩეულია თავისი ფერწერულ-
 კოლორისტული წყობით, მხოლოდ ამ ოსტა-
 ტისათვის დამახასიათებელი ხელწერით. ბევ-
 რი მისი ეანრულ-პეიზაჟური ნამუშევრისთ-
 ვის ნიშანდობლივია მშვიდ მონუმენტურო-
 ბასთან შერწყმული ლირიზმი, ნაწარმოებთა
 კომპოზიციური სტრუქტურა და ფერწერუ-
 ლი ენის თავისთავადობა რომ განაპირო-
 ბებს.

უჩა ჯაფარიძის ხელოვნება, მისი პედაგო-
 გურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართუ-
 ლი საბჭოთა მხატვრობის საძირკველთაგანია.
 კვლავაც ემატებოდეს სიმყარე ამ საძირკ-
 ველს. ეღვაჯე მრავალ წელს იყოს მისთ-
 ვის ნიშნული — ფერტუცველობა.



ლომეკ ახვლედიანი

ლია ქიმერიძე

მკარბაძორი ლომერ ახვლედიანი ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურაა დღევანდელ ქართულ კინოხელოვნებაში.

„ქვეყრი“ იყო ფილმი, სადაც რეჟისორ ირ. კვიციანიანთან ერთად მან პირველად მოსინჯა თავისი პროფესიული შესაძლებლობა. 1971 წელს, სატელევიზიო ფილმების მეოთხე საკავშირო ფესტივალზე ფილმი მთავარი პრიზით დაჯილდოვდა.

მომდევნო ფილმი, „სამკაული სატრფოსათვის“ (რეჟისორი თ. აბულაძე) 1972 წელს, მეხუთე საკავშირო კინოფესტივალზე აღინიშნა დიპლომით „საოპერატორო ხელოვნებაში ძიებისა და ნოვატორობისათვის“.

„ნატერის ხის“ რეჟისორს თ. აბულაძეს და ოპერატორ ლ. ახვლედიანს რუსთაველის პრემიის ლაურეატების წოდება მიენიჭათ:

„სამანიშვილის დედინაცვალ“ (რეჟისორი ე. შენგელია) კაიროს საერთაშორისო კინოფესტივალზე 1979 წელს დაჯილდოვდა პრი-

ზით „ფილმის საუკეთესო სახეითი გადაწყვეტილისათვის“:

ლ. ახვლედიანი დოკუმენტური ფილმის „ალბური ვარსკვლავის“ (რეჟისორი — რუსთაველის პრემიის ლაურეატი რ. თაბუკაშვილი) ერთ-ერთი ოპერატორი გახლავთ:

მისი ბოლო ნამუშევარია „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (რეჟისორი რ. ჩხეიძე).

ამ არასრული ნუსხითაც კი ჩვენს თვალწინ წარმოდგება შემოქმედი, ურომლისოდაც 70-იანი წლების ქართულ კინემატოგრაფია ალბათ, ბევრი რამ დააკლდებოდა. მას აქვს ჩვეულებრივი საგნების, მოვლენების, ადამიანების უჩვეულო კუთხით დანახვის, გაოცების, აღტაცების იშვიათი ნიჭი, აქვს მშვენიერების გამახვილებული გრძობა. იქნებ სწორედ ამან მიიყვანა ლ. ახვლედიანი ჯერ ფოტოხელოვნებაში, მერე კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტამდე.

კინოხელოვნება — ესაა მათივე მ-სა ცხოვრება დღეს.

ამ თხუთმეტობედ წლის წინ კი ბევრისთვის უცნაური და გაუგებარი აღმოჩნდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის ლ. ახვლედიანის არჩევანი. მან ერთბაშად და გადაპირით მიანება თავი თითქმის დასრულებულ სამეცნიერო თემს, უარი თქვა გეოლოგიის უკიდურესად გარეგანულ კარიერაზე, თავდავიწყებით გაჰყვა ახალ პროფესიას. ერთი სიტყვით, ცხოვრება „სულ თავიდან“ დაიწყო.

ლ. ახვლედიანი ახლა თვლის, რომ კინოხელოვნებაში თავიდანვე გაუმართლა ბედმა, ოპერატორ კ. კალატოზიშვილის ასისტენტად მოხვდა თ. აბულაძის ფილმზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. რეჟისორთან ამ პირველ შემოქმედებით კონტაქტს მოჰყვა პირადი მეგობრობაც. შემდეგში თ. აბულაძე იტყვის, რომ უტყუარი მხატვრული ალღო, დახვეწილი გემოვნება, ღრმად განცდის უნარი და მაღალი ინტელექტი მიანიჭა მას ლ. ახვლედიანის ყველაზე გამოჩრეულ თვისებად. აბულაძე-ახვლედიანის შემოქმედებითმა თანამშრომლობამ ქართულ კინოს შესქინა ეკრანული ხელოვნების ორი მშვენიერი ნიმუში

— „სამკაული სატრფოსათვის“ და „ნატერის ხე“. ფილმის ვადალება თ. აბულაძისათვის „უპირველეს ყოვლისა, ტიტანური შრომა და სამკადრო-სასიციცხო ბრძოლის მოგებაა“ („ახალი ფილმების“ კორესპონდენტთან საუბრიდან). „სამკაული სატრფოსათვის და „ნატერის ხე“ თ. აბულაძის მიერ მოგებული კადრები ორი ბრძოლა, სადაც ოპერატორი მისი ლირსეული თანამებრძოლია. იგი რეჟისორთან ერთად ფიჭობს, ჰქმნის ფილმის პერსონაჟთა პორტრეტებს შუქ-ჩრდილისა და ფერაა ზუსტად შერჩეული ეფექტით, მყურებელთა ყურადღებას წარმართავს კადრშიდა ყველაზე მნიშვნელოვან დეტალზე. ფერს კი, იგი ანიჭებს საგანგებოდ გამორჩეულ მხატვრულ გამომსახველობით ფუნქციას. გავსენიოთ ეპიზოდი „ნატერის ხიდან“: ყაყაჩობით აბლღვალაბულ მინდორში ცვდება თეთრი ცხენი. კამერა ნელი მოძრაობით აფიქსირებს მიწიდან ამომაველ უთვალავ ყაყაჩოს, ნიაფი არხევს სისხლისფერ ფურცლებს, მერე კი ეკრანს ერთბაშად იპყრობს წითელი ფერი ყოველგვარი გამოსახულების გარეშე, გასაოცარი სიმძაფრით მუხტავს ეკრანს და მყურებელთან მოაქვს დიდ ადამიანურ ვნებათა ლელვასთან შეხვედრის მოლოდინი. თე-

კადრი ფილმიდან „ნატერის ხე“



ირანის საერთაშორისო კინოფესტივალის ბიულეტენში კრიტიკოსი ჯან ლეიჯი რონდი წერდა, რომ ფილმში პეიზაჟები, ხეები, მდელოები მას ფიროსმანის ტილოებს ასვენებდა. იგივე ასოციაცია ჰქონდა როლანდ პოლოუენისაც („ჯონონა“, იტალია, 1978 წ.). — ეპიზოდებისა და კომპოზიციების მდიდარ ფერთა გამა ზოგჯერ ფიროსმანს ვევაგონებს, ზოგჯერ ფლამანდიელ მხატვარ ბრეიგელსო ფილმის გამომსახველობით სტილისტიკაზე საუბრისას ფიროსმანის ვახსენება ფრიად საამაყო ყველა შემოქმედისათვის. თავად ოპერატორი კი ყალბი მოკრძალების გარეშე თვლის, რომ არა ოპერატორის ოსტატობა, არამედ გიორგი ლეონიძის გასაოცარი პოეტური სამყარო, ფილმის ეროვნული გარემო ბადებს შეხების წერტილს ფიროსმანთან — „საგანგებო განზრახვა არ ყოფილა. ალბათ, ინსტინქტურად დაემგავა იმას, რაც წაგიციხავს, გინახავს, დალექილა სულში“ — ამბობს იგი.



გ. ლეონიძის ნაწარმოების პოეტური სამყარო, ეპოქა, ფაქტურა — კახეთის საოცარო ფერები, კაშკაშა მზე, მოცინფრო-მოიისამინისფრო ნისლი თავიდანვე იძლეოდა უჩვეულო ფერადოვნების გარანტიას, მაგრამ ყველაფერს ამას მხატვრულად სჭირდებოდა მყუერებლამდე მიტანა. ნატურის ხეზე მეოცნებე ელიოზი „ყინვით აყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო“, წერს პოეტი. „ყინვით აყვავებული!“ ამ სიტყვათა ეფექტს ვერ მაღწევ ვერც მხოლოდ რეჟისორული, ვერც მსახიობური ხელოვნებით. რეჟისორულ ოსტატობასთან ერთად შესანიშნავმა სახვითმა მხარემ ფილმი ლეონიძისეული პოეტური სინათლით აღავსო. ილუზიებიან პერსონაჟები — მშვენიერი მარიტა, გედია, მეოცნებე ელიოზი, მაგრამ მაყურებელს მაინც რჩება რწმენა, რომ სიცოცხლეს აქვს თავისი ფერი — ბროწეულის ყვავილისფერი!



კინოხელოვნებაში ლ. ახვლედიანი მოვიდა მტკიცე შემოქმედებითი პოზიციით და დღემდე მისი ერთგულია: „ყინო, უპირველეს ყოვლისა, გამოსახულებაა, მაგრამ გამოსახულება აზრობრივი დატვირთვის, ემოციის გა-



კადრი ფილმიდან „ნატურის ხე“
კადრი ფილმიდან „მშობლიური ჩემო მიწა“
კადრი ფილმიდან „სამკელეო სატრეკოსთის“



რეში, დამოუკიდებლად, არ არსებობს... აუცილებლად მიიჩნია ვაითავისო მასალა, რომელზეც მუშაობ. თუ რევისორის თანამოაზრე არ იქნე, თუ არ შეგვიყვარდა მასალა, თუ შენად არ გაიხადე, ისე ძნელია მუშაობა". მის გადაღებულ ფილმებს აქეთ მკაფიოდ გამორჩეულ საოპერატორო ხელწერა — სამყაროს პოეტური აღქმა, ვაითავისებული — ლიტერატურო მასალა, მტკიცედ დადგენილი წესებისათვის ეჭვის თვლით გადახედვისა და დარღვევის, ახლის ძიების პროფესიული გაბედულება. უმოთარესი კი, ალბათ, მაინც ისაა, რომ ლ. ახვლედიანის კამერა არასოდეს არ არის გულგრილი. ფილმში „შე შემოდგომისა“ (რევისორი თ. ფალავანდიშვილი) ერთი შეხედვით უბრალო პეიზაჟი, მტკვრის სანაპირო, ეიწრო ქუჩაბანდები, ხმაურიანი ეზო გამორჩეულია განსაკუთრებული აქტიური კამერით. დაუფიქარია იმ ეპიზოდის ემოციური ეფექტი, როცა ფილმის გმირის სახელსინოში მოწვეულ სტუმართა შორის ცეკავს ლადო გულაშვილი. მოსიყვარულა მოკრძალებული თვლით ვადაღებული ეს ეპიზოდი და თბილისის ცოცხალი სუნთქვა ფილმს ალბათ ვადაარჩენს დროის ვანაჩენისაგან.

ოპერატორის ოსტატობა სტაბილურია ფილმში „აურზაური სალხინეთში“ (რევისორი ლ. ლილიბერიძე). ავტორთა ყურადღების ცენტრშია ეროვნული ენერჯის უმიზნო ფლანგვა, სულიერ ღირებულებათა დაკნინება და მატერიალურის ვაგვტიშება. ამ მოუღნათა საზოგადოებრივი შეფასებისათვის ფილმს რომ რამდენიმე წლით დაესწრო, ალბათ მეტი სოციალური ქვერადობა ექნებოდა. მიუხედავად ამისა, „აურზაური სალხინეთში“ მაინც მეტყველებს ავტორთა ღირსებაზე, სენარისტო, რევისორი, ოპერატორი ეძებენ თავიანთი შეხედულებების კინემატოგრაფიული გამოხატვის ხერხებს, ცდიან ეწარს.

ე. შენგელიას ფილმში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ოპერატორმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეიძლება „გამოიწუროს“ ფე-

კადრი ფილმიდან „შე შემოდგომისა“ კადრები ფილმიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“

რად ფირს. ამ დახვეწილი, ელევანტური ფილმის ავტორებმა, მსახიობთა ჩინებულმა ანსამბლმა შეძლეს ლიტერატურული ნაწარმოების სტილისტიკის, განწყობის, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტების, საერთოდ, დ. კლდიაშვილის — „სინამდვილის ფანატიკოსის“ (გ. ქაქიძე უწოდებდა) ცრემლიანი ირონიის გადატანა კინოს ენაზე. „მე არ დავცინოდი იმ უბედურ ადამიანებს, მე ისინი მეცოდებოდნენ, მებრალვებოდა ადამიანი, რომელიც მახინჯმა ცხოვრებამ გაუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა, მე მიყვარდა ჩემი ხალხი, ცრემლებს ვღვრიდი, მის გამწარებულ ცხოვრებას რომ ვხედავდი და ამ გულსიტკვილით, მათდამი სიბრალულით ვწერიდი“, — მწერლის ეს სიტყვები უნებურად გვახსენებენ თავს ფილმის ცალკეულ ეპიზოდებში — ბრეგვაძეთა ბოგანო ქაიხში დედინაცვლის მოტაცებაზე მოლაპარაკებისას (შუქნარდლით ფერწერის რა ჩინებული ნიმუშია!), თვით მოტაცების ეპიზოდში, ან ბოლო კადრში, როცა კამერა ნელა უახლოვდება მსახიობის სახეს და მსხვილი პლანი აღბეჭდავს ვანწყობის ყველა წამიერ გავლევასა და ცვლილებას, ადამიანის გადატყვევას გაბოროტებულ მხეცად — „მე შემიბრალა ვინმემ?“.

„სინამდვილის დედინაცვალში“ ერთხელ კიდევ გამოჩნდა, რომ პლასტიკური გამომსახველობა არის კინემატოგრაფიული ფორმის თავიდათავი. ლ. ახვლედიანის ფირი ამ ნაწარმოებშიც სამყაროს ფერადოვნების იმდენნაირ გამას მოიცავს, გვევიწყდება, რომ ფილმს — „სინამდვილის სარკეს“ ვუცქერით და არა თვით რეალისტურ სამყაროს თავისი უთვალავი ფერით. ცნობილია, რომ შოსტკის ქარხნის ფირი არაა მთლად უნაკლო. ლ. ახვლედიანი კი მაინც თვლის, რომ ფირის გულდასმით შესწავლისა და ფაქიზად გამოყენების შემთხვევაში ოპერატორმა შეიძლება სასურველ შედეგს მიაღწიოს.

შოსტკის ფირზე ნატურალური ნისლის აღბეჭდვა არ ხერხდება. ან ნისლია ხელოვნ-



კადრი ფილმიდან „აფრახატი სალხინეთში“

კადრი ფილმიდან „ქვევრი“

კადრი ფილმიდან „ნატურის ხე“. ფუფა-ლა — ს. ჭიაბერელი.

ნერ, ან ფირია უცხოური, — ნატურის ხის“ ნახვის შემდეგ უმტკიცებდა თურმე თ. აბულაძეს იონის გრიციუსი, სწორედ ის სახელგანთქმული ოპერატორი, რომელსაც კირტიკოსებმა „ღრუბლიანი დღის ჭაღოქარი“ უწოდეს.

.. ცხადია, არც ფირის ყველა ნიუანსის ცოდნა, არც მისი დამუშავების ტექნოლოგია ან განათების ნებისმიერი ეფექტი არ არის მთავარი ოპერატორის პროფესიის დღევანდელი მაღალი დონის პირობებში. მხოლოდ მაშინ, როცა ყოველივე ეს ორგანულადაა შერწყმული ფილმის დრამატურგიასთან, რეჟისურასთან, სამსახიობო ხელოვნებასთან, შეგვიძლია ვილაპარაოთ ოპერატორის ხელოვნებაზეც. ფილმის შექმნისას პრიორიტეტი, უდავოდ, რეჟისორს ეკუთვნის, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ოპერატორსაც, რეჟისორის დარად, უნდა შეეძლოს ეპოქის, ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრულ სახეთა სიღრმეებში წვდომა. ლ. ახვლედიანს ეხერხება რეჟისორის ჩანაფიქრის წაქითხვა. იგი თავის კამერას უქვემდებარებს ფილმის იდეას და, ამავე დროს, თავისი სტილის ერთდროულ რჩება. ლირიზმი მისი კამერის ყველაზე გამორჩეული თვისებაა.

„მშობლიური ჩემო მიწა“ სწორედ ის გათავისებული მასალაა, ურომლისოდაც ლ. ახვლედიანს მუშაობა ვერ წარმოუდგენია. წელს, იანვარში, როცა ფილმი ის-ის იყო ეკრანზე გამოდიოდა, ოპერატორი ჭერ კიდევ ვერ გათიშვოდა შემოქმედებით ინერციას, აშკარა სიამოვნებას ჰგვირდა ფილმზე საუბარი: — „ყველაზე რთული თემაა, რომელზეც მუშაობამ მომიწია. დღეს ჩვენი ერის წინაშე ნამდვილად დგას მიტოვებული სოფლების აყვავების, რაც მთავარია, მაღალი ზნეობის ერთგულების დიდი პრობლემები...“

ლ. ახვლედიანის ფოტოარქივში ერთი უცნაური ფოტო ინახება. ფილმის ფოტოგრაფს ალბერტსაც მანქანაზე თოკით მიმაგრებული ოპერატორი ერთ-ერთი კადრის გადაღებისას. ამბობენ, ამ დროს მანქანა 80 კილომეტრის სიჩქარით მიჰქროდაო. ფილმში მწელი გამოსარჩევია, რა კადრია გადაღებული ასეთი რისკით. აჰ ვერ ნახავთ უცნაურ რაკურსით თვალმისაცემ კადრს, ყოველი მათგანი ორგანულადაა ჩაწყობილი ფილმის მთლიან ქსოვილში. აღბათ სწორედ ასე უჩვეულოდ გადაღებული კადრები იყო საჭირო მათთვის. „ჩვეულებრივის“ ფორმის მისანიჭებლად. მხოლოდ მაშინ, როცა ფილმში რამ-

დენივეჯერ მოხანს მესხეთის შემოვარენი, ამერა გეოპოლეს ოდნავ მაღლა აეზხედიაო. მკურნებელი თითქოს თავაწულები შესცქეროს ვარძის, მთებს, ციხეთა დაქცეულ კედლებს. ნელა, რბილად მოძრაობს კამერა, როცა გიორგი თორელი ათვალეოვებს ძირსდავილ ხავსმოდებულ ჩუქურთმას ქვეას, ძველი ციხის ნანგრევებს. ოპერატორი თითქოს ძალდაუტანებლად, მაგრამ მაინც გიჟტად



კადრი ფილმიდან „ნატურის ხე“

გვახვევს განწყობას — ეს ყველაფერი ჩვენი წინაპრების სისხლთ ნაწერი ისტორიაა, ამ მიტოვებულ განძს, ამ მიწას ჩვენი გულისყური სჭირდება! დაუეწყვარია ეპიზოდი, როდესაც გიორგი თორელი თავს ჩაქრალ კერას ესტუმრება. ფანრის სუსტი შეჭი ოდნავ ჰკვეთს მიტოვებული სახლის სიბნელეს, ფილმის გმირიც თითქოს შერწყმია ამ სიბნელეს. იგი იხსენებს თავისი ბავშვობის მზით სავსე დღეებს და არც სინათლე ეფინება აკვანს, რომელსაც იგი სიბნელეში არწევს. დროდადრო კი ეკრანი ივსება და ფეთ-

ქვეს ამ საყვარელი მიწისა და ცის ყველა ლამაზი ფერით — მოდის მაცოცხლებელი წყალი, რომელსაც დასწავებია მიწაზე ჩამუხლული პატარა ბიჭი თავისი დიდი სიხარულითა და ლამაზი ოცნებით. აქ ოპერატორი სრულიად დაუფრავად ცდილობს მიადწინოს გამოსახულების მეტაფორულ ქვრადობას.

წელს მოსკოვში, კინოს ცენტრალურ საბჭოში გამართულ ქართული კინოს საღამოზე ოპერატორმა პავლე ლებეშვიძემ ამ ფილმზე თქვა: „უდავოდ შესანიშნავი ფილმია. მასში აოდრული პრობლემები ყველასთვის გასაგებია. როგორც ოპერატორის მხრის რამდენიმე სიტყვა ვთქვა ლომერ ახვლედიანის ნამუშევარზე. იგი ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ოპერატორია, რომლის ოსტატობამაც მას სახელი და პოპულარობა მოუტანა. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი მაღალპროფესიული ნამუშევარი. მხოლოდ შშობლიურ ბუნებაზე შეყვარებულ ადამიანს შეუძლია გადაიღოს ასეთი შთაბეჭდავი კადრები. კამერა მის ხელში სასწაულებს ახდენს, ეხმარება გმირების მხატვრულ სახეთა გახსნაში...“

ოპერატორად არ იბადებიან. მარტო ნიჭი საქმეს არ შევლის, უცარი შთაგონება არ ეწვევა თუნდაც ყველაზე ნიჭიერ და შედეგის ვერ შეაქმნევენებს. ოპერატორის პროფესია არ არსებობს თავადღებულ შრომის, სიყვარულის, პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე. მსახიობი კახი კავსაძე, რომელსაც ლ. ახვლედიანის მიერ გადაღებულ ოთხ ფილმში მიუღია მონაწილეობა, „უმადლესი რანგის პროფესიონალს“ უწოდებს მას. — „იგი საოცრად ორგანიზებულია გადასაღებ მოედანზე. ყოველთვის ყველაფერი მზად აქვს. მსახიობს უქმნის ყველა პირობას, რომ ზედმეტად არ გადაიღოს, არ განერვიულებს, იფიქროს მხოლოდ შემოქმედებით ამოცანაზე“. ოპერატორის ამ შესანიშნავ უნარს, ვაითავისუფლოს მსახიობი ზედმეტი დატვირთვისაგან, რაც თან ახლავს გადასაღებ ობიექტზე განათებას, რეჟისორი რეჟისორი ჩხეიძე ოპერატორული ხელოვნების თანამედროვე მეთოდს და მიიჩნევს და საერთოდ თვლის, რომ „ლომერ ახვლედიანთან მუშაობა არის კემპარიტი სიამოვნება“.

ფილმზე მუშაობის ყოველი დღე ოპერატორისათვის არის ძიების, შეცნობის მიძიება. კინემატოგრაფის უსახვერო შესაძლებლობანი კი ლომერ ახვლედიანსაც, როგორც

ყველა კემპარიტი ხელოვანს, ყოველი ფილმის შემდეგ უტოვებს მტანჯველ ექვსს, რომ კიდევ მეტის ვაეთუბა შეიძლება და „...რადღაც რომ გინდოდ დაგემატებინა და გადაიფიქრე, მერე გეჩვენება, რომ მაინცადამაინც ის გამოვიღოდა ნამდვილად კარგი“.

ექსპერიმენტის მეტ საშუალებას, შედარებით სრულ დამოუკიდებლობას იძლევა ე. წ. „საავტორო ფილმი“. ავტორს შეუძლია, მაქსიმალურად გამოიყენოს პროფესიული არსენალი ისე, რომ არავის დიქტატს არ დაემორჩილოს. ლომერ ახვლედიანს აქვს ორი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, სადაც თავადაა სცენარის ავტორიც, რეჟისორიცა და ოპერატორიც — „სიერვანტინო“ (რუსთაველის თეატრის გასტროლები მექსიკაში, სცენარი მიხ. სალუქვაძესთან ერთად) და „ფესტივალი კონფოლანსი“ (ანსამბლი „გორდა“ საფრანგეთში, ხალხური შემოქმედების მსოფლიო ფესტივალზე). მიზანი—აზიარო მაცურებელი იმ პოეტურ, სახეიმი განწყობილებას, რომელიც უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას გუფუდება — ორივე ფილმში მიღწეულია. ამ სურათების კემპარიტი ფასი კი, როგორც ყველა დოკუმენტური ფილმისა, ყველაზე უფრო წლების შემდეგ წარმოჩნდება. ლ. ახვლედიანი ამბობს, რომ საერთოდ სიამოვნებით იმუშავებს დოკუმენტურ კინოში: „მკვირ გამოჩაყლისის გარდა, ოპერატორს იმდენ საინტერესო ადამიანთან უნდება შეხვედრა, იმდენ საინტერესო მოვლენას ეცნობი, გენახება, რომ ეს ყველაფერი ფირზე არ აღბეჭდო“.

ახლანან ლ. ახვლედიანი თან ახლდა რუსთაველის თეატრის იტალიასა და შეეცარიაში, მაღელ მაცურებელი იხილავს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტურ ფილმს რუსთაველია ამ დიდებულ გასტროლებზე. ცოტა მოგვიანებით კი შეუდგება მუშაობას სსრკ-ესპანეთის ერთობლივ ფილმზე „დონ კიხოტე“, რომელსაც კინორეჟისორი რ. ჩხეიძე იღებს. ლ. ახვლედიანი რეჟისორად იხილავს, ფიქრობს ე. სიხარულიძის მოთხრობის „მეათე მოწმის“ ეკრანიზებაზე.

ლ. ახვლედიანი კემპარიტი ხელოვანია. დროდარდო მას ესაჭიროება შემოქმედებით ძალთა სრული განახლება და, ამავე დროს, მიგნებული სტილის ეროვნულება.

მას აქვს თავისი, საკუთარი, გამორჩეული ხელწერა, რომელსაც მაცურებელი არაერთგზის აზიარა დიდ კინოხელოვნებასთან შეხვედრის იშვიათ და უქვირფასეს წუთებს.

ხელმოწმების ისტორიაში იშვიათი მოვლენა რამდენიმე მხატვრის მკიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა, წლების მანძილზე საერთო მხატვრული მრწამსით, ინტერესებითა და მისწრაფებებით განმსტკიცებული. ქართულ ხელოვნებაში სამეულე ჯერჯერობით ასეთი თანამეგობრობის ერთადერთი მაგალითია.

ალექსანდრე სლოვინსკი, ოლეგ ჭოჩიაძე, იური ჩიკვაძე — ოცი წელია ეს გვარები განუყოფელი გახდა.

ისინი ერთად სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ფაკულტეტზე (1953-59). სტუდენტობის წლებში მოხარად დაყურებულთა ქართული თეატრის დირექტორმა — დორიან კიტაძემ ახალგაზრდა არქიტექტორები თეატრში მიიწვია „ჩადოსნურა ხილბანდის“ გასაფორმებლად.

პირველვე ექსპერიმენტრ გაბედული ნაბიჯი იყო თეატრში ახალი ხერხების ძიების გზაზე, ხოლო 50-60-იანი წლების მიჯნაზე, იმ დროისათვის საბჭოთა თეატრში გამეფებული ნატურალისტური ტენდენციების თანდათანობით დაძლევის პერიოდში, ასეთი სიახლეები საეტაპო მნიშვნელობას იძენდა.

პიესის არსის, მომავალი სპექტაკლის მთავარი ამოცანის გამოვლენაზე თავდაპირველად ყოველი მათგანი დამოუკიდებლად ფიქრობს. როდესაც თითოეულში მომწიფდება პიესისადმი საკუთარი დამოკიდებულება, იწყება საერთო მსჯელობა აზრთა ურთიერთგაზიარების, კამათის შედეგად დგინდება სპექტაკლის ზემოქანა — პიესის ძირითადი კონფლიქტის არსი და მისდამი თანადროულ სინამდვილის შესატყვისი პოზიცია.

ამგვარად, სამეულის ძირითადი მიზანია სპექტაკლის იდეური არსის გამოვლენა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი იმ მხატვრების რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც „ხორცეჭრე მსახიობზე და რეჟისორზე მეტად გამოხატავენ ავტორს“¹. ამაზე მეტყველებს თვით რეჟისორების აზრი: გ. ლორთქიფანიძე — „ისინი რეჟისორთან ერთად სწვევენ სპექტაკლის ბედს, თეიანთი დამოკიდებულებით“²; დ. ალექსიძე — „ისინი თეატრში მოვიდნენ, როგორც ავტორები, თანავტორები მომავალი სპექტაკლისა. სპექტაკლი ხშირად მდიდრდება რეჟისორთან მათი შესვენრის შემდეგ. მათ შეუძლიათ ესკიზების საფუძველზე რეჟისორს რაიმე შეაკვლინონ, იმდენად ღრმად იციან ჩახედვა მნახარსში“³.

თავად სამეულისათვის განსაკუთრებით

საინტერესოა ისეთ რეჟისორთან მუშაობა, რომელსაც მომავალ სპექტაკლთან დამოკიდებულებაში ჩამოყალიბებული აქვს გარკვეული კონცეფცია, მაგრამ, ამასთანავე, თავისუფლებას აძლევს მხატვრის სპექტაკლის სცენოგრაფიული სახის ძიებაში. მხატვრებს ნამდვილი შემოქმედებითი სიხარული მოუტანა რეჟისორ პეტრე ფომენკოსთან თანამშრომლობამ, რომლის შესახებ რ. ხიდეკელი

შემოქმედებითი თანამეგობრობით

ქეთევან კინწურაშვილი

წერს: „ეს არის რეჟისორი, რომელიც მხატვარში ეძებს არა საკუთარი ჩანაფიქრის ინტერპრეტატორს, არამედ ესწავის ისეთ მოკავშირესთან შეხვედრას, რომელსაც აქვს საკუთარი სტრატეგიული გეგმა და საკუთარი გზები მის განსახორციელებლად. ასე, ურთიერთთანამეგობრობის საფუძველზე იზადება არა პირველი, რეჟისორის მიერ ჩაფიქრებული და მხატვრის მიერ ხორცშესხმული, არამედ რაღაც მესამე“⁴. ნაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თანხვედრა ყოველთვის არ ხდება.

იდეურ-თემატური ჩანაფიქრის აღქმატური პლასტიკური სახის მოძებნა ყველაზე რთული ეტაპია. ხოლო როდესაც პირველ

ჩანახატებში, ფანქრით მონახაზებში სპექტაკლის სახიერი ფორმაც დადგინდება, ე. ი. როდესაც სპექტაკლის „გასაღები“ ბოლომდე მოძებნილია, ესკიზების შესრულება ერთ-ერთ მათგანს ეკისრება.

პარალელურად ხშირად სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ. შეიძლება ერთდროულად რამდენიმე სპექტაკლზე, თოჯინურ ან ნახატ ფილმზე, აფიშაზე, წიგნის ან არქიტექტუ-

თოეულის ინდივიდუალობა ვლინდება მათ მიერ შექმნილა დაზგური ფერწერის ნიმუშებში, რომლებიც განსხვავდება თემატიკით, შესრულების მანერით. მათი მხატვრული ანალიზის საფუძველზე ისიც შეიძლება დადგინდეს, თუ რომელი სპექტაკლის ესკიზებზე რომელმა შესაძლოა. მაგრამ ფერწერაში ფერის, განათების პრობლემებისადმი მიდგომა, ხელოვნების თანამედროვე ეტაპისათვის შე-



ნიკაიძე, თ. ჭოჩიაძე, ა. სლონიცკი

